


საქართველოს მემორიალი

№ 18.

15 მარტი, 1922 წელი.

№ 18.



სილიბისტრო ჯიბლაძე.

გარდაიცვალა 1922 წ. თებერვლის 17, ღამის 11 საათზე.

საქართველოს მემორიალი

„თავისუფალი საქართველო“-ს რედაქციის მწუნარებით აუწყებს ამხანაგებს და მთელ ქართველ ერს, რომ თფილისში 17 თებერვალს ხანმოკლე ავანთმოფობის შეძღვევ კარდაიცვალა ბოლშევიკებისგან დევნილი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი და ბელადი

სილიბისტრო ჯიბლაქე.

სილიბისტრო ჯიბლაქე.

სილიბისტრო ჯიბლაქე!.. და ის აღარ არის, ვეღარ მოვისმენთ მის ტკბილ ხმას, მის მამობრულ დარბევას, მის წრფელ გატაცებას, ვეღარ მივწვდებით მისი გულის ნაწ ამოძახილს! ვეღარ ვიგრძნობთ მისი მოსიყვარულე გულის სიმბურვალეს, რომელიც მუდამ მოძმისათვის ფეთქავდა, რომელიც მუდამ საწოგადო საქმეს დასტრიალებდა, რომელიც სულ ერთიანათ გრძნობათა მორევით იცო გადაქცეული, და მის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა.

გარდაიცვალა ეს ბუმბერაზი ადამიანი, დიდი გონების პატრონი, გამჭრიახი და ნათელი აზრის მატარებელი, ადამიანი რომელსაც შეეძლო უკეთეს პირობებში ათასჯერ დიდი ყოფილიყო და რომელიც მიუხედავათ ცხოვრების სასტიკი დევნისა მაინც დიდი, უზომოთ დიდი შეიქნა, მაინც მიუწვდომელათ საცვარული და სათაცვანებელი გახდა.

დავკარგეთ სინდისიერების განსახიერება, ხორცშესხმული პატიოსნება, რომელიც ადამიანის სახით ქვეყნათ იარებოდა. აბა დააკვირდით მის ღვთისნიერ სახეს, მის ღმობიერ, მაგრამ ცეცხლის მფრქვევე თვალებს, მის ჭკვიან შუბლს, რომელსაც უდიდესი ნიჭის ბეჭედი აზის, და თქვენ იტყვიეთ—ვაი, რა აუნაზღაურებელი დანაკლისი მოსვლია სოც.-დემოკრატიას, მუშათა კლასს, მთელ ქართველ ერს.

სილიბისტრო! ჩვენი სიღვა! და სიკვდილის

ცელი ერთად, განა შეიძლება ამის წარმოდგენა? განა შეიძლება ამას შეურიგდე, მიიღო, დაიჯერო? რა ქონდა საერთო ცივ სიკვდილს—მის ცხოველ არსებასთან? რა ქონდა ამ გულქვა ბედის-წერას გასაღფი ამ უღმობიერეს ადამიანთან? რა ქონდა საერთო ქვეყნის დამაობლებელს, ამ ცველა ობოლთა და გაჭირვებულთა შეუდარებელ მფარველთან! სიკვდილი და სიღვა! არა ეს რალაც უსაშინელესი წინააღმდეგობაა, საიდუმლოებით სავსე, არა, ეს რალაც უდიდესი ტრალედიია, რომელსაც გარდაუვალი ბედისწერა განაგებს...

და ჩვენ გვეუბნებიან მაინც, რომ ეს უნდა დავიჯეროთ. უნდა ვიწამოთ, რომ გული ჩვენი ამოგლეჯილია სამუდამოთ და სამარეში მიბარებული!

და ვინ!

სიღვა!

უბრალო დედ-მამის შვილი, გურიის სოფ. ამალღებაში დაბადებული, მკვირცხლი, ცოცხალი ბავშვობაში ნიჭიერი სწავლაში, გაბედული მოქმედებაში. ჯერ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე, შემდეგ თფილისის სემინარიის. მე-80 წლებში მოხვდა ის თფილისში და პირველ დღიდანვე მას იტაცებს მაშინდელი განმათავისუფლებელი მოძრაობის შხეფები, რომელიც მრავალ გადმოსახლებულთა, თუ რუსეთიდან დაბრუნებულ ქართველ ახალგაზღდათა სახით გადმოტყორცნილ იქნა საქართველოში.



მძიმე ეკლიანი გზით იწევა სიღვას სიარული მისი ცხოვრების პირველი ნაბიჯებიდანვე. აქ სემინარიაში ის გამარჯვებულ პოლიტიკის მატარებელ, მტარვალ რექტორს, რომელმაც ქართული ენა შეურაცხოვით მოიხსენია, ფიზიკურათ უსწორდება. მისმა ახალგაზდურმა ბუნებამ ჯერ სხვა ფორმა პროტესტისა არ იცის. და მას სამართალში აქლევენ, დისციპლინარულ ბათალიონში აგზავნიან 4 წლით.

და აქ ამ ჯოჯოხეთურ სატუსაღოში უკნება თავიდანვე და იქელება მისი პიროვნება, მისი ნიჭი, მისი ფიზიკური ძალ-ღონე უკვე დიდათ დაზიანებული გამოდის იგი ამ სატანჯველიდან, მაგრამ მხნე და შეუდარებელი სხვა ადამიანის თვალსაზრისით. დააკლდა აქ მის გენიალობას, მის დიდ ბუნებას, მაგრამ იგი დარჩა მაინც დიდი, ვეებერთელა ნიჭი, ძლიერი ნების-ღონის და უსაზღვრო სიყვარულის მატარებელი. რევოლიუციონერი თავის სულის ყველა ძაფებით, თავის გონების ყველა ნაკვთებით, იგი მზის სხივების დანახვისთანავე გადაეშვა ბრძოლის მორევში, იქ საითკენაც მას რევოლიუციონერის მოვალეობა მოუწოდებდა, საიდანაც დაჩაგრულთა ხმა მოისმოდა. ჩვენ არ ვიცით დაწვრილებით მისი პირველი ნაროდნიკული გატაცების ისტორია, სადაც მასთან იყო ის. რამიშვილი და ზოგიერთი სხვა ამხანაგები.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უკვე 90-იან წლებში დგება პატარა, ვიწრო წრე—უკვე მარქსისტულ თვალსაზრისზე დამდგარი, ხდება კრებები ახალ მოძღვრების და ნაროდნიკობის დავის გასარკვევათ პროგრამის შესამუშავებლათ. ეს იყო 1892-3 წლებში. აქ სიღვას გვერდს უმშვენებენ დღეს ჩვენი ერის ბელადინ. ჟორდანია, ეგნ. ნინოშვილი, ის. რამიშვილი, დ. კულანდარიშვილი, მ. ცხაკაია და სხვ. შემდეგ ამ წრეს მიემატა ლ. დარჩიაშვილი, კ. ჩხეიძე, ფ. მახარაძე და სხვები.

ბნელ სარდაფში შეკრებილნი ნათელი აზრების გასარკვევათ, ეს ახალგაზრდანი გატაცებით ეწაფებიან მარქსიზმს. ამ წრის სულის ჩამდგმელი განსვ. ეგნ. ნინოშვილთან ერთათ იყო სილ. ჯიბლაძე. ეს იყო ცენტრი, რომელიც ყველას აერთებდა და აკავშირებდა, ეს იყო მძიმე არტილერია, ფიზიკური ნიჭით, რომლის გავლენას და სიძლიერეს ცველა ძალა-უნებურათ ემორჩილებოდა.

ამ საპროგრამო მუშაობის შედეგად ჩვენს წერილი: «ეკონომიური განვითარება და ეკონომიზაცია». მალე ახალ ჯგუფს ეგნატე ნინოშვილი გამოეცალა ხელიდან და მის საფლავზე გადაწყვიტეს—მისმა მეგობრებმა თავის ახალი პროგრამით გამოხვლა, ახალი მიმდინარეობის გამოჩენა. ეს იყო 1894 წელს. ლ. დარჩიაშვილს მიანდვეს მიცვალებულის საფლავზე საპროგრამო სიტყვის წარმოთქმა, ხოლო სილ. ჯიბლაძემ რამდენიმე წერილი მოათავსა «კვალში», რომელმაც გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა, ამ პროგრამის დასასაბუთებლათ. დღესაც ეს წერილები საუკეთესო ნიმუშია, მკერმეტყველური, მხატვრული სიტყვის და ნათელი გარკვეული პოლიტიკური აზრების, რომელიც შემდეგ საფუძვლათ დაედო სოც.-დემოკრატიის განვითარებას. ნ. ჟორდანია ამ წლებში საზღვარ-გარეთ იყო გაგზავნილი, ხოლო საქართველოში მთელ წრეს სილიბისტრო ხელმძღვანელობდა. ნ. ჟორდანია დაბრუნების შემდეგ ამ ჯგუფმაც განიცადა ბრძოლა ლეგალურ თუ არალეგალურ მუშაობის გზაზე დადგომის თაობაზე, მაგრამ გადაწყვიტა იგი თავისებურათ. მან ეს ორი დარგი შეათანხმა, შეათვისა, შეასისხლხორცა. სილიბისტრო, რომელიც არალეგალურ მუშაობას ჩაუდგა სათავეში და თავის ცეცხლის მფრქვევი სიტყვით აგიზგიზებდა რევოლიუციის ალს ახალგაზრდა მუშების გულში, რომელნიც მას რკალივით შემოერთებენ გარს, იმავე დროს ლეგალურ მუშაობასაც თვალ-ყურს ადევნებდა და ცოველ წერილის შესახებ წინასწარ მსჯელობდა, თავის დასკვნას აქლევდა, უსწორებდა, აქუნებდა. ერთი სიტყვით ორივე დარგის მუშაობას მთლიანობის და სრული შეთანხმებულობის ხასიათს აძლევდა.

ნ. ჟორდანია დაბრუნების შემდეგ 1896 წ. ჟურნ. «კვალი» მალე ერთიანათ ამ ახალ დასის ხელში გადავიდა, რომელსაც ეგნ. ნინოშვილის საფლავზე «მესამე დასი» ეწოდა სახელათ. ეს იყო ლეგალური ფორმა მარქსისტული მოძრაობის, რომელიც არალეგალურათ უკვე ქმნიდა სოც.-დემოკრატიულ პარტიას.

ამ რიგათ ჩაისახა ქართული სოც.-დემოკრატი, ამ რიგათ ჩაეყარა საფუძველი საქართველოს მუშათა მოძრაობას.

და აქედან მოყოლებული, სილიბისტროს

F 11814



საქართველო

ცხოვრება—ეს თვით პარტიის და მუშათა კლასის ცხოვრებაა, მისი ბიოგრაფია—ეს მუშების და გლეხების მოძრაობის, ჩვენი ერის გამოღვივების ისტორიაა. პირადი ცხოვრება მას არ ქონია, იგი, როგორც თავის კელაპტარი იწოდა საკაცობრიო სამსხვერპლოს წინაშე—დნებოდა და თავის ტანჯულ მოძმეთ გზას უნათებდა. მისი პირველი წრეებში გამოზრდილი მუშები დღემდე მეთაურობენ საქართველოს მუშათა მოძრაობას. შეხედეთ ქართველ მუშებში ყველაზე მხნეს, გამოცდილს, ნიჭიერს—ესენი ცველა თითქმის სილიბისტროს აღმოჩენილია, მისი გამოზრდილია, მისი გამაცოცხლებელია. და რა სასოებით, რა ღვთაებრივი იმედით შესცქეროდენ მას თვალეებში ეს ახალი გამოფხიზლებული მოწაფეები. რა უსაზღვრო იყო გატაცება მათში... განა საქირთა ახლა კვლავ ჩამოვთვალთ—პირველი მაისობა ქალაქ ვარეთ, პირველი გაფიცვა რკინის-გზის სახელმწიფოში 1900 წელს, რომელიც სილიბისტროს ხელმძღვანელობით ჩატარდა, პირველი საჯარო დემონსტრაცია «საღდ. ბაზარში», რომელსაც იგი უკვე მეტეხის ციხის სარკმელიდან გადმოცურებდა.

1900 წელს, როცა საქართველოს მუშათა მოძრაობა მოღონიერდა, სილვა პეტერბურგს გაემგზავრა, ამ მოძრაობის მასალები წილო, გამოცემული ბროშიურები, გურულები და საქართველოს მუშ. ბრძოლა რუსეთის მუშათა ბრძოლას დაუკავშირა. აქედან საქართველოს სოც.-დემ. მოძრაობა ხდება შტო და ნაწილი მთელი რუსეთის მოძრაობის. და ვინ მოსთვლის რამდენათ დიდი იყო ნაყოფი ამ შეერთების. რამდენათ დიდი იყო სიხარული მუშების, როცა სილიბისტროს რუსეთიდან ორი რევოლიუციონერი ჩამოყვა აქ სამუშაოთ კურანტოვსკი და ფრანჩესკო. ქართველ მუშებს ფრთა შეესხათ დიდ რუსეთში—დიდი მეგობრები იპოვეს, თავის ძლიერება იგრძნეს ამ ერთობაში და შესაძლებლობა მოსისხლე მტრის დამარცხების თვალწინ დაეხატათ, როგორც ნათელი დღე. მაღლე სილიბისტროს ციხეში ვხედავთ, სადაც მან წელიწად-ნახევარზე მეტი გაატარა. 1902 წლის დასასრულს ის გამოუშვეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გურიაში წასული ხელახლა შეიპყრეს იქ გლეხთა მოძრაობის გაწაფების გამო. როცა ქუთაისის და ფოთის ციხეებში

დაცო 3-4 თვე, იგი ისევ განთავისუფლეს, მაგრამ დეპარტამენტის განკარგულებით ციმბირში გადასახლეს 5 წლით... ციმბირიდან იგი 1905 წელს დაბრუნდა. და მთელი ეს დიდი პირველი რევოლიუცია ბრძოლაში გაატარა. იგი იდგა ცველგან და ცოველთვის იქ სადაც მეტი ხიფათი მოელოდა, სადაც მეტი გამბედაობა, გამჭრიახობა, ნიჭი და ენერჯია იყო საჭირო. ძნელია მთელი მისი მუშაობის აღწერა პარტიულ ბრძოლაში. მან ამ წელს მეორეთ აიღო ხელში თავის მახვილი კალამი და ბოლშევიკ-მენშევიკების დავას თავის მკვეთრი, შეუღრეკელი ლოლიკით მისცა ის მიმართულება, რომელსაც იგი დღემდე ადგა. მისი წერილები მოთავსებულია ჟურნალ «მოგზაურში» 1905 წელს. ამ წლის მისი მოღვაწეობიდან აღვნიშნავთ ორ მომენტს—ერთი იყო თფილისში გაზარმებზე თავდასხმა ეკენისთვეში, აგვისტოს 29-ს ქალაქის თვითმართველობაში მიტინგის დახვრეტის საპასუხობთ; ამ თავდასხმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე იყო ამავე წლის დეკემბერში, როცა მოსკოვის აჯანყება დაეცა, და თფილისი ისევ განაგრძობდა ბრძოლას. სილვა სამხედრო საომარ ორგანიზაციის წევრი იყო, და ცველა სახიფათო და მთავარ მომენტებს ამ ბრძოლისას ხელმძღვანელობდა. ძლიერ გადარჩა მოხუცებულობის გამო, როცა 18 დეკემბერს 1905 წ. ნაძალადევიში გახატებმა 9 ამხანაგი დაგიხოცეს. სილვა მათთან ერთად იყო; როცა შემდეგ 1906 წელს იანვარში გრიანოვი მოკლეს ეს სილვას მოწყობილი იყო. ტერორის უარმყოფელი, პრინციპიალურათ, როგორც ბრძოლის მეთოდის, იგი ბაზათ შეწონილათ ხმარობდა მას, როცა რევოლიუციურ ბრძოლის ტალღებს ამ საშუალებით გზის გაკაფვა ეჭირვებოდა... და ცველამ იცის, რომ ამ აქტებმა უდიდესი პოლიტიკური გავლენა მოახდინეს და გრიანოვის მკვლეელი არჩ. ჯორჯიაშვილი სახალხო გმირათ გახადეს. ამ წელში ვნახე სილიბისტრო—კავკ. კონფერენციაზე, სადაც—იგი უფრო უსმენდა თავის მოწაფეებს, ვინემ ლაპარაკობდა, მაგრამ თავის კერძო მუსაიფით, მოლაპარაკებით ქმნიდა ატმოსფერას და განსაზღვრულ სულიერ განწყობილებას. და მისი გავლენა უსიტყვოთაც ძლიერი და განუზომელი იყო.

ამ წლიდან მოყოლებული სილიბისტრო კვლავ



საქართველო
1917 წლის
18 ნოემბერი

მთელი პარტიის ცოველ დარგის მუშაობას თავს დასტრიალებდა, იგი იცო ასე ვთქვათ ყველას მომვლელი და პატრონი, შეხარდა თავის დაზრდილ ახალგაზრდა მებრძოლთ, ახალისებდა, ამხნევებდა, შეცდომებს უსწორებდა... მათ ნივთიერ მდგომარეობაზედაც კი მუდამ ის ზრუნავდა. სილიბისტროს მხოლოდ თავისთავი არ ახსოვდა, თავის გაპირვება ავიწყდებოდა, სხვისი გასაქირი კი მუდამ პირზე ეკერა და მის შემსუბუქებისთვის ძალღონეს არ შურავდა. ის უგზავნიდა საზღვარ-გარეთ ფულს ამხანაგებს, ის ეხმარებოდა მათ სასწავლებელშიც, ის მიეშველებოდა დაობლებულ ოჯახს, უბედურებაში ჩავარდნილ მეგობარს და ყველა ამათთვის აგროვებდა მთელ თავის გავლენის მოხმარით ფულს საზოგადოებაში.

ყველა წრე საზოგადოების უდიდესი და უღრმესი პატივისცემით ეპყრობოდა ამ უნაგრო ადამიანს, და უგულწრფელეს მოძღვარს, რომლის სიტყვა მხოლოდ სიმართლე იცო და საბუთი—ქვეშარიტება.

1905 წლის შემდეგ სილვა ესწრებოდა ყველა მნიშვნელოვან კრებებს, იღებდა მონაწილეობას ყველა დიდ და პატარა კითხვების გადაჭრაში. იცო უცვლელათ წევრი სოც.-დემ. საოლქო კომიტეტის.

1910 წელს იგი ხელახლა შეიპყრეს და დონის-როსტოვში გადაასახლეს; იქაც ის სხვა ამხანაგებთან ერთად ავიდა ეტაპით და მათვე გაეცა ღამის თავშესაფარში, რადგან ბინა არ ეშოვებოდათ; აქ ის იპოვეს მესამე ღღეს ამხანაგებმა, და როცა კითხეს, შენ რათ არ წამოდი მანც ჩვენთან, განაცხადა: ამ ამხანაგებს მოვეყვი და როგორ შემეძლო ასეთ გასაჭირში მათი დატოვება, ეს რევოლიუციონერს არ შეეფერებოდაო. როსტოვში იგი გადასახლებულებზე ზრუნავდა და თავის-თავი ავიწყდებოდა. სხვებს საქმეს უწყობდა, საზრდოს უშოვიდა, თვითონ კი ხშირათ ხმელი პურიც ენატრებოდა. 1914 წელს ისევ საქართველოშია და ხელახლა აძლიერებს მუშაობას, რომელიც ომის დასაწყისში ასე გართულებული იცო.

1917 წლიდან მისი მოღვაწეობა უკვე ყველას თვალწინ ხდებოდა. ის იცო სულის ჩამდგმელი, შემაერთებელი, დამამშვიდებელი და მომვლელი ყველასი. გატაცებული რევოლიუციონერი, სიამაყით გადახედავდა თავის დაზრ-

დილ შევარდნებს, რომელნიც ასეთი მხნეობით ქმნიდენ რევოლიუციის სახელოვან ფურცლებს. რევოლიუციას უკვე ცავდა თავის თეორეტიული გამომხატველი ნ. ყორდანია, მაგრამ თუ მას ედგა სული ცხოველი, თუ მისი მოღვაწენი ასეთი იდეალისტური თავდავიწყებით ეწირებოდენ საქვეცნო საქმეს, ეს იმიტომ, რომ მათ თავს დაეჭურებდა არწივივით მაღალ კლდიდან გადმომდგარი სილიბისტრო ჯიბლაძის თვალები, მათ ათბობდა მისი გული, მათ იტაცებდა ამ მანე მოხუცის ცნაწილური გატაცება და აღფრთოვანება.

და რა რიგ შესტრფოდა იგი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც თავის ღვიძლ—ნაცოფათ მიაჩნდა, რომელსაც თავის შვილივით დახარდა, თავს დაფრთატებდა. მხოლოდ ისტორიას შეუძლია დაადასოს მისი მნიშვნელობა ჩვენი დიდი ეპოქის ცხოვრებაში.

ბოლშევიკების შემოსევის მწარე დღებმა ერთხელ კიდევ მწუხარე ღრუბლები გადაატარეს მის შუბლზე, კომუნისტურ ჯალათების, «ჩეკამ» და ციხემ—ერთხელ კიდევ მოუნდომეს გასრესა ამ მხნე ად მინანს. ციხეში მძიმეთ დაავადმცოფებული, სიკვდილის პირათ მიმდგარი იგი გართე გამოუშვეს და ჩვენი სილვა, როგორც ძველი ანტი, თავის ნიადაგზე ფეხის დადგმისთანავე კვლავ ძალღონით აიგსო, ზეზე წამოდგა და გატაცებული შეუდგა მუშათა ძალების მოკრეფას, რევოლიუციურ მუშაობის წარმართვას ამ ახალი ბარბაროსების წინააღმდეგ, და უკანასკნელ დღემდე ხელიდან არ გაუგდია ბრძოლის იარაღი, არ მოსცილებია თავის საღარაჯოს. როგორც რევოლიუციონერმა რევოლიუციურ პოსტზე განუტევა სული. მას ექებდენ ციხეში მოსათავსებლათ «ჩეკის» ჯაშუშები, მაგრამ მხოლოდ უჩინარმა სიკვდილის ცელმა მიაგნო მის კვალს. 3 დღე იავათმცოდა და წავიდა...

და დაგეტოვა ობლათ, დაგეტოვა დაწლულებული გულით, დაგეტოვა საქართველო ხუნდებ-გაყრილი, მარა დაგეტოვა თან ცეცხლი ბრძოლის და ენერგია თავგანწირულების.

ლაჩარ კომუნისტებს—ციცხლის ეშინოდათ—მიცვალებულის წინაშე კი კანკალი აუტცდათ. და ჩეკა რაზმით მიადგა მის გვამს მოსატაცებლათ. ქურდულათ საქართველოში შემოჭრილმა ბარბაროსებმა, საქართველოს პირველ


რევოლიუციონერის გვამიც ღამე ქურდულათ მოიპარეს და მიწას გადასცეს...

მაგრამ ვინ მოიპარავს მას ჩვენი გულიდან? ვინ ჩააქრობს მის ჩანერგილ ცეცხლს ქართველი ერის გულში? ვინ ამოფხვრის მის დიდ სახელს ჩვენი მშვენიერი ქვეყნის ისტორიის საუკეთესო ფურცლებიდან?

და გეროსტრატის სახელით შევლენ ამ ნათელ ფურცლებში ქართველი კომუნიზმის შავი მოღვაწენი; ხოლო ქართველი ერი, ქართველი მუშა, საქართველოს დემოკრატია, მისი აჩრდილით გამხმევებული, მისი ანდერძის ამსრულებელი მაინც მივა მის საფლავზე გაშლილი დროშებით...

დაობლებული საქართველო დღეს თვალში ცრემლს ვერ იკავებს, მაგრამ ხვალ მის ბრძოლის ყიყინას ვერავინ შეაკავებს, როცა ის შეინიწმინდა საფლავისკენ თავისუფალი გზის გასაკაფავათ გამოიწვეს.

მშვიდობით ამხანაგო,—მაგრამ შენ მაინც ჩვენთან ხარ და ჩვენთანვე იქნები.



სილიბისტროს უკანასკნელი წ ა მ ი.

(კერძო წერილიდან *)

ამ პატარა ბარათით თქვენ და თქვენს მეგობრებს ვერ ვატყობინებ კარგ ამბავს. ჩვენ თავს დაგვატყდა კიდეც ახალი უბედურება, დიდი და საშინელი მწუხარება. ან კი რაღა დავსწერო და ან კი რაღა მოგწეროთ...

ჩვენ დღეს ობლათ შთენილნი სამგლოვიარო მწუხარებაში ვართ გახვეულნი. წუხელის ღამის 11 საათზე სამუდამოთ წუთი სოფელს გამოუთხოვა ჩვენი ძვირფასი, ჩვენი იმედი სილია.. მოკვდა ორი სამი ამხანაგის ხელზე...

მოკვდა ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ თვის სადარაჯოზე...

ჩვენ დავრჩით მარტო... ერთი წელი მან ტანჯვაში გაატარა... ზაფხული «ჩეკის» და მეტეხის ბნელ სარდაფში, შემოდგომა და ზამთარი დევნაში... მოკვდა სილიბისტრო დევნაში, თრევაში, გაქირვებაში...

*) ეს არის ქართველი ამხანაგი, რომელსაც ხვალ წილათ სილიას უკანასკნელი წუთების გაზიარება.

რა საშინელი დღე გაგვიტენდა დღეს! 17 ოქტომბერს ავათმცოდეს დამტოვებულნი თვის ბინა და წუხელის დამწუხრებულმა ამხანაგებმა ღამით მალულათ მინასვენეს წამებული თვის სანატრელ ბინაზე, პატარა ვალიასთან. წუხელის დაიწყო ჩვენი პარტიის გლოვის ღამე.. დღეს არავის არ სჯერა ეს საშინელი ამბავი... ყველას ცოცხალი გონია სილიბისტრო...

სილიბისტრო ჯიბლაძე... ჩვენ კი წილათ გვხდა საშინელი ისტორია... თქვენ ცოცხალი დაგვიტოვეთ ბრძოლაში გაწრთვნილი ჩვენი თაობის მეთაური და ჩვენ კი მას ველარ დაგახვედრებთ და ვერც ჩვენ ვიხილავთ ჩვენს წრეში...

ის კიდეც დიდხანს იცოცხლებდა, მაგრამ ამ შავ-ბნელმა ქაშამა შეუმოკლა მებრძოლს საელეონი დღენი...


ის მოკვდა იმ დროს, როცა ქვეყანა გლოვის ზარშია გახვეული...

ის მოკვდა შავ-ბნელ დროში და ველარ მოესწრო წამებული განახლების განთიადის ქამს... ძალიანი ცუდი იყო მისი უკანასკნელი დღეები, წუთები; გიგონებდათ ყველას...

კიდეც ფიქრობდა ნარ-ეკლიან გზაზე ბრძოლას...

ჩვენც გვეგონა რომ ჯერ არ წავგვართმევდა მას უცნაური ცხოვრების კანონი, მაგრამ წუხელის მოულოდნელათ გათავდა...

თფილისი, 1922 წ. 18 თებ. №.



სილიბისტროს.

არის მწუხარება, რომელიც ენას აღუმებს და ცრემლს აშრობს. არის უბედურება, რომელიც აღამიანს აქვავებს და აშტერებს.

ასეთ მწუხარებაზე და ასეთ უბედურებაზე გაცილებით დიდია, ჩემო კარგო სილიბისტრო, შენი დაკარგვა. დიახ, კარგო! მე ვფიქრობ, აღამიანის ენას ჯერ არ გამოუგონია ისეთი სიტყვა, რომელსაც შეეძლოს შენი შესაფერისი დახასიათება. კეთილი, გონიერი, პატიოსანი, თავგანწირული და სხვა ასეთი სიტყვები არ კმარა. შენ დავახასიათებს უფრო მარტივი სიტყვა: ჩემო კარგო!

ლხინში და უფრო ქირში; დიდ და პატარა საქმეში;—ყოველგან და ყოველთვის შენ დროზედ გაჩნდებოდი ხოლმე. მაშვრალთა და ტან-



ჯულთა გამამხნეველებო! ქართველი ერის მესაიდუმლოე! მოქანცულთა გამამხნეველებო და აღიერ-ახსნილთა მტკიცე აღვირო! ქოხიდგან ქოხში, უბნიდგან უბანში, სოფლიდგან სოფელში, ქალაქიდგან ქალაქში დაიარებოდრი და უქადაქებდრი ძმობა-ერთობა-თავისუფლებას.

შენ შეაკავშირე ქართველი მუშა, ქართველი გლეხი, ქართველი ერი. შენ შეაცვარე მათ სამშობლო, შენ მოუწოდე მათ სოციალიზმისაკენ, შენ ასწავლე და შეაცვარე მათ ბრძოლა შენის სიტყვით, სიყვარულით და შეუდრეკელი ბრძოლით. შენის ტკბილი და მქუხარე ხმით, შენის მწუხარის და მოელვარე ტვალეებით, შენის დაუღალავი შრომით და დაუშრეტელი ენერგიით შენ მიგყავდა ქართველი ერი მომავალი ბედნიერებისაკენ და ნახევარი ეტაპი ამ ბედნიერებისა შენ კიდევ გააზრნიე ის.

შენ მით იყავი ბედნიერი და ის შენით!

და აი ამ დროს... იმ დროს, როდესაც ბედნიერების ზეიმი ჯერაც არ იყო დაბოლოვებული და ამ ზეიმში შენ და ქართველი ერი ბედნიერებისაკენ წინსვლად ემზადებოდით და უფრო დინჯათ, უფრო მწყობრათ და მოფიქრებულათ სამუშაოზედ გამოდიოდით, სწორედ ამ დროს ყაჩაღთა ჯგუფი, უცხოელი უხეში ძალით ზურგ-გამაგრებული თავს დაესხა შენს სამშობლოს და მისი განადგურება მოიადინა. არც აქ უღალატე შენ შენს თავს და შენს საყვარელ ერთან ერთად უკანასკნელ წუთამდე ებრძოდრი სამშობლოს მოღალატეებს.

ამ მოღალატეებს, ყველა მათ შენი პოლიტიკური ძუძუ უწოვნიათ, შენ ფრთებ ქვეშ არიან აღზრდილნი და დავაყვაცებულნი და, აბა, რა შენი ბრალია, რომ შენ ღიდ ოჯახში ეს ორიოდე მახინჯი გამოერია.

უკანასკნელ წუთამდე იბრძოდრი და ამხნევედრი ქართველ ერს იმ დიდ უბედურების დროს, რომელშიდაც ის ავაზაკთა ჯგუფმა ჩააგდო.

შენ ვერ გაშინებდა ვერც ციხე, ვერც ტყვია. შენი კი მათ ეშინოდათ. ეშინოდათ შენი ხმის, შენი თვალების, შენი გავლენის და ავტორიტეტის. ეშინოდათ ცოცხალი სილიბისტროსი; ეშინოდათ გულ-ხელდაკრეფილ სილიბისტროსი.

და აი, მათ შენი ცხედარი მოიპარეს; როგოც ავაზაკებს სჩვევიათ, ლამის წცვდიადით ისარგებლეს და ჩუმათ, ქურდულათ დაგასაფლავეს.

ეს საუკეთესო დამახასიათებელია მათი უძღურების, მათი უნიადაგობის.

ერთი ქრისტე მისმა მიმდევრებმა ავაზაკებს მოჰპარეს.

მეორე ქრისტე ავაზაკებმა მის მიმდევრებს, ქართველ ერს მოჰპარეს.

და ქართველი ერი ასეთ შეურაცყოფას ავაზაკებს არასოდეს არ აპატივებს და შესაფერ კასუხს მოსთხოვს.

უკვე დგება დღე განკითხვისა და დღე რისხვისა!

ამ დღეს ქართველი ერი მუხლს მოიდრეკს შენის ხსოვნის წინაშე, ჩემო კარგო სილია, შენის სახელით გაასამართლებს შენს ჯალათებს და შენდგე შენი ანდერძის შესრულებას შეუდგება.

შენ ჯალათებმა მოგკლეს დიზიკურათ, მაგრამ შენ ქართველ ერში მუდამ ცოცხალი იქნები სულიერათ.

დიდია მწუხარება ქართველი ერის!

დიდია მწუხარება შენი პატარა მეგობრის!

იგივე.

საგვლოჴიარო დეკაჴუჴი.

პ ა რ ი შ ი დ ა ნ :

მწარეთ დავსტირი საცვარელ სილიას. მან ბრძოლის ველზე დალია სული და დაგვიტოვა წმინდა ანდერძი: ან ქართველი ხალხი და ან ბოლშევიკები.

ნოე უორდანია.

ჯალათებმა სილიბისტრო აწამეს და დაასამარეს. მტარვალეებს სილიბისტრო მომაკვდავი გონებით. მაგრამ იცოდენ უგნურებმა, რომ იგი უკვდავია, ის მშრომელი კლასის სინდისია, ხალხი მასთან ერთათ გაიმარჯვებს. საქართველოს მოღალატენო, აწი უფრო გეშინოდეთ სილიბისტროსი.

კარლო ჩხეიძე.

მწარეთ დავსტირი მასწავლებელის, პარტიის დამარსებელის, მეთაურის და სულის ჩამდგმელის სილიას ცხედარს. ის დევცა თავის ჩეგულებრივ ერის გუშავის და მტარვალეებთან დაუძინებელი მებრძოლის პოსტზე.

ნოე რამიშვილი.

მწარეთ დავსტირით ხალხის ერთგულ დარა-
ჯის სილიბისტროს დაკარგვას. ჩქარა დადგე-
ბა დრო და მის საფლავის ირგვლივ თავს მო-
იყრის მთელი ერი და მუხლ მოდრეკილი ვამ-
ბორება მას.

გვეგვიქორი და ჩხენკელი.

გვლოვო ძვირფასი სილიბისტროს უღმობელ
სიკვდილს. მასზე მტირალი ქართველი ხალხი
ღირსეულათ დააფასებს მისი ჯალათების ვერა-
გობას.

ბ. ჩხიკვიშვილი და კ. საბახტარაშვილი.

მწარე ცრემლებით მუხლ მოდრეკილი ვეამ-
ბორები მოხუცი გმირის სილიბისტროს ცხე-
დარს.

კ. ასათიანი.

«თავისუფალ საქართველოს»—საქ. სოც.-დემ.
ცენტრ. კამიტეტისთვის. გთხოვთ მიიღოთ ჩვენ-
გან გრძნობა ღრმა მწუხარებისა სილიბისტრო
ჯიბლაძის გარდაცვალების გამო. განსვენებუ-
ლი გახდა მსხვერპლი რუსეთის მოძალადე ბა-
ტონობისა საქართველოში და ამ ღრმა მწუხა-
რებას თქვენთან ერთად გაინაწილებს მთელი
საქართველო.

მღვივანი, ვეშაპელი, ჯაფარიძე, კობახიძე.

კონსტანტინოპოლიდან:

ჩემო ძვირფასო სილია, მამაზე უფრო ტკი-
ლო და საყვარელო? რა გითხრა შენი უდროო
სიკვდილის გამო? ვინ გაგვიწევს შენს მაგიე-
რობას? ვინ გვასწავლის, ვინ შეგვაძვარებს
თავდადებას? იქვებისა და რყევის ქამს ვინ
მოგვევლინება გამამხნეველათ და სულის სიმ-
ტკიცის მომნიჭებელათ, თუ არ ისევ შენი წმინ-
და სახე და შენი ცხოვრებისა და მოქმედების
მაგალითი? შენ მებრძოლის სახელოვან სადა-
რაჯოზე დალიე სული და ბევრ ჩვენგანს უკულ-
მართმა ბედმა ისიცი არ გვარგუნა, რომ შე-
ნი ცხედარი საჯლავამდის მიგვეცილებია!

ნ. ხომერიკი.

ცრემლით დავსტირი საყვარელ მასწავლე-
ბელს, ტკბილ მეგობარს და რევოლიუციურ
ბრძოლაში აღმზრდელს ჩვენ კარგ სილიას.
ერი გულში ჩავისვამს. მუშათა კლასი ანდერ'ს
უკლებლათ შეგისრულებს. კიდევ მოვალთ შენს
სამარესთან ღია დროშებით. ახლა კი მშვიდო-
ბით.

რ. არსენიძე.

მწარეთ დავსტირი საქართველოში დემოკრა-
ტიის მესაიდუმლის ძვირფას სილიბისტროს
დაკარგვას. საქართველოს დემოკრატია კვლავ
იგლის სილიბისტროს მიერ ნაჩვენები გზით და
სათანადო პასუხს გასცემს ქართველი ხალხის
ჯალათებს და მოლაღატეებს.

კ. გვარჯალაძე.


ცხარე ცრემლს ვაფრქვევთ ქართველი ერის
სინდისის, მისი გულის მესაიდუმლის, სოც.-
დემ. პარტიის დამაარსებლის ბელადის სილი-
ბისტრო ჯიბლაძის ცხედარს.

დაუფასებელია შენი დედალი და წმინდაა შენი
ანდერძი, რომელსაც ქართველი ხალხი ავგა-
როზათ ატარებს და ასრულებას შენს საფლავზე
ჩამოგაძახებს.

გ. ერაძე, კ. სულაქველიძე, ვ. ალიხანოვი,
პ. ჩინიჯიშვილი, ვ. წულაძე, ნ. კალანდა-
ძე, ემ. ლომთათიძე, ვ. ულენტი, ვ. სულაქ-
ველიძე, ვ. ქარცივაძე, ა. კორძაია, კ. ნიქა-
რაძე, ვ. ჯუღელი, ნ. ლ. ელიავა, მ. და ნ. რუ-
სია, კ. ჭუმბურიძე, ივ. ჭავჭავანიძე, ფ. ლორია,
ვ. კაჩუხაშვილი, ნამეცია და ვ. გოგუაძეები,
მარგარიტა წულაძე, არ. ემუნჯარი, რ. აუშ-
ტროვი, დ. შარაშიძე, ივ. ჯანჯღავა, კ. ჯა-
ყელი, კ. ბარნოვი, კ. ულენტი, ი. ქარსელაძე,
იაკ. რუხაძე.

საქართველოს სოციალისტ-დემერალისტთა
პარტიის კონსტანტინოპოლში მყოფნი წევრნი
ვეურთდებით საქართველოს ხალხის უღრმეს
მწუხარებას, გამოწვეულს ჩვენში სოციალიზმის
მამა-მთავრის, უდიდესი და უსპეტაკესი სახე-
ლოვანი ადამიანის გარდაცვალებით. მთელი
მისი სიცოცხლე—თავგამოდებული ბრძოლა
სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის
და ამ იდეალებისათვის ბრძოლის გამო მოუს-
პეს მას ბოლშევიკებმა უკანასკნელი წუთებიც.
მაგრამ არამც თუ იმ პარტიისათვის, რომელის
დამაარსებელი და მამ-მთავარი იყო იგი, არა-
მედ მისი მოპირდაპირეთათვისაც და მთელი
ქართველი ერისათვის მისი სპეტაკი ხსოვნა სა-
მარადისო იქნება, განაწამები რაინდული სული
მუდამ ხელმძღვანელი იქნება ჩვენთვის ხალხისა
და ქვეყნის განთავისუფლების საქმეში. იგი
ჩვენთვის მუდამ ცოცხალი იქნება.

მონღობილობით ი. გოგოლაშვილი.





ახვ. ლეო

კეთილი მეგობარი, ძვირფასი ამხანაგი, მშვი-
დი და უწყინარი ხასიათის, მაგრამ მუდამ უკან
დაუხვეველი რევოლიუციონერი,—აი—ვინ მოგვ-
ტაცა უღმობელმა სენმა! აი ვინ იმსხვერპლა
იმ საშინელმა რეჟიმმა, რომელიც კოხიერი ნია-
დაგია ყოველი სენისა და ავამტოფობის.

იქ, სადაც ყველა შიმშილობს, გარდა კომუ-
ნისტ-ჯალათებისა, იქ სადაც ადამიანის სიცო-
ცხლე ჩალათ ფასობს, გარდა მოსკოვის აგენ-
ტებისა—განა შეეძლო არსებობა ამ უპატიო-
სნეს, უწყინარ ადამიანს? იქ, სადაც ძალმომ-
რეობა—არსებობის კანონია, სადაც ხიშტი—
ცხოვრების ერთ-ერთი საფუძველია, როგორ
უნდა გაეძლო ამ ადამიანს, რომელსაც სძულ-
და და სძაგდა ყოველივე ეს?

და ის მოიპარა ცხოვრების სიდუხჭირემ, ის
შეიწირა თავისმა გულკეთილობამ და ტკბილმა
ხასიათმა. ბოლშევიკებს არ დასჭირებიათ მისი
ციხეში ჩაჯენა. უამისოთაც ადვილი იყო ასეთი
ადამიანის თავიდან მოშორება!

ვინ იყო ლეო?

თქვენ გინდათ მისი ბიოგრაფია? გინდათ გაი-
გოთ, რომ ის ჯერ სწავლობდა გიმნაზიაში,
შემდეგ უნივერსიტეტში, შემდეგ მასწავლებ-
ლობდა, რედაქტორობდა ს.-დ. ვაწეთებს, იყო
დეპუტატი პარლამენტის და დამფუძ. კრების.
იყო წევრი მრავალი საპასუხისმგებლო კომი-
სიების, რომ მას ხშირათ სდევნიდნენ, ციხეც
აგემეს, დევნა, ყოველივე ის, რაც ხვედრია
თვითეული რევოლიუციონერის. დიახ ყოველივე
ეს იყო. ყოველივე ამას ქონდა ადგილი. მაგ-
რამ ეს არ არის ის, რაც უნდა ითქვას ამხანაგ
ლეოზე.

ლეო ნათამე—განსაკუთრებული ტიპია რე-
ვოლიუციონერის. მის ხასიათში არ არის ის
თვისებები, რომელსაც აწერენ მუდმივით რე-
ვოლიუციონერ ადამიანს—ერთგვარი ლტოლვი-
ლება ავანტიურისადმი, სახიფათო გარემოებებ-
ში ჩაბმა, წყურვილი ძნელი და მძიმე საქმეების
კეთების, მუდამ საფრთხეში ყოფნის სიამოვნება.
ის იყო თითქოს მკუდრო ცხოვრებისთვის და-
ბადებული, თითქოს უჩინარი, მშვიდი, მაგრამ
ნაცოფიერი—მუშაობისთვის შექმნილი და ასე-
ფი დარჩა მისი სახე რევოლიუციურ მოძრაო-

ბაშიაც: ის არ ეჩხირებოდა წინ, არ ზეპირად
ხმამალა მისი საქმეები. მაგრამ დაუკვირდით.
იგი იჯდა გამუდმებით და ემსახურებოდა იმ
საქმეს, სადაც მას მიუჩენდნენ ადგილს. მისი
დალაგებული აზრი, აუღელვებელი ლაპარაკი
გამსუვალული იყო შინაგანი ცეცხლით, რო-
ნელსაც რევოლიუციური შინაარსი ეწოდება.
იგი იყო რევოლიუციონერი მთელი თავისი აზ-
რებით, და მთელი არსებით ეწირებოდა ამ სა-
ქმეს უსიტევოთ, ენის შეუბრუნებლათ.

ერთი ნიჭიერი ხელმძღვანელი მოაკლდა მისი
სახით სოც.-დემ. პრესას, ერთი უგულითადესი
მეგობარი მის ნაცნობებს და ამხანაგებს, საუ-
კეთესო რევოლიუციონერთაგანი ს.-დ. პარტიას.
გულწრფელი თანამოაზრე და მტკიცე დამცველი
მუშათა კლასის, რომელსაც ის შეეწარდა თა-
ვიდანვე და რომელიც მან შეიყვარა, მთელი
თავის აზრით, გრძნობით, გონებით.

ძნელია ჩენთვის განგრძობა ამ დახასიათების.
ძალა-უნებურათ მიდგება თვალ-წინ მისი სათ-
ნოიანი სახე, ჭკვიანურათ გამომეტყველი თვა-
ლები და დაულალავი მუშაობა იქ რედაქციის
ბნელ ოთახში, რომელსაც რატომღაც ყოველ-
თვის აკლდა სინათლე, თითქოს ემსგავსებოდა
ჩვენს ლარიბულ ცხოვრებას.

მაგრამ აქ, ამ ნახევრათ ბნელ ოთახში იწე-
რებოდა ნათელი სიტყვები, ისახებოდა მკვეთრი
აზრი და ეფინებოდა მრავალ ათასს მუშას,
გლეხს, მოქალაქეს...

ლეო—მთელ თავის ძალ-ღონეს სწირავდა
იმას, რომ ცხოვრების მოთხოვნილებას არ ჩა-
მორჩენოდა თავის განვითარებით. ახალ-ახალი
ცოდნა შეეძინა, და შემდეგ მკითხველისათვის
გაზიარება—ასულდგმულვებდა მას მუდამ. რამ-
დენჯერ მინახავს იგი ზაფხულის არდადეგების
დროს დასვენების მაგიერ პეტერბურგში ჩამო-
სული, სადაც ყოველ-დღე საზოგადო ბიბლიო-
თეკის ერთ-ერთ სტოლთან ჩამჯდარი კითხუ-
ლობდა და სწავლობდა იმას, რაც შემდეგ უნ-
და ცხოვრებაში გადაეტანა. იგი მუდამ დაწა-
ფებული იყო ახალი ცოდნის შეძენას, რაც არც
ისე ხშირი იყო ჩვენს რევოლიუციურ წრეებში.

და სწორეთ ამიტომ განსაკუთრებით დიდია
მისი დაკლება ჩვენთვის. შენის დაკარგვით,
ძმო, «ვინ უწყის რავედნი საუნჯენი დავკარ-
გოთ ჩვენა».

მაგონდება ყოველივე ეს და ცრემლები ძალა-

უნებურათ მადგება თვალზე. ის რაც ცვირის, ცველა დიდი არაა, და რაც უჩუმრათ ქმნის— უთუოთ პატარა. და ლეოც არ იცო პატარა ძალა... ამის განხორციელებული მაქვენებელი იცო ამხ. ლეო.

და რათ, რათ მოგვტაცეს ეს კიდევ ახალ-გაზრდა, სიცოცხლით სავსე ადამიანი, რომლისაგან ასე ბევრს მოველოდით მომავალში, რათ დაგვიობლეს ღღეს მტრის ხელით დროებით მოზურული რედაქციის სავარძელი, ის ჩვენი ოთახი, რომელიც აკვანი იცო წრეელი აზრების და ქვეშაირიტი რევოლიუციუ ი შეხედულბე-ბის!

მშვიდობით ამხ. ლეო, შენ მ. გვშორდი, მა-გრამ ჩვენი გული არ მოგიშორებს. იქ შენ მუდამ გექნება ბინა...

არ.

მოქალაქეების მოვლა

ბოლშევიკების მხეცობას სახლდარი არ აქვს. ისინი მოსვენებას არავის აძლევენ.

19 იანვარს სოფ. ხელთუბანში (გორის მაზ.) შემადრწუნებელი ამბავი მოხდა. ხელთუბნის თე-მის რევეკომის თავმჯდომარემ არტემ ფალიანც-მა როცა გაფლანგა მთელი ქონება რაც საქარ-თველოს მთავრობას დარჩა, მერე ხელი მიჰცო ქურდ-ბაცაცობას. მისი ამხანაგები და დამ-ქაშები მილიციონერები სისტემატიურ ქურდო-ბას ეწეოდენ, იპარავდენ ქათმებს, თივას, სა-ქონელს, თაფლს და სხვას.

გაქურდეს სავათა შორის ადგილობრივი გლე-ხი თედო რაზიკაშვილი (ვაქა-ფშაველას ძმა ბაჩანა) მოპარეს თაფლი, ქათმები, ინდაურები და სხვა. ამ ნიადაგზე თედო რაზიკაშვილი ხშირად ამხელდა მათ, რის გამოც და მით უმე-ტეს იმიტომ, რომ მას სთვლიდნენ «მენშევიკე-ბის დამქაშათ», გადაეკიდნენ ჯერ თივა გა-დუწვეს, ხოლო როცა ერთხელ რევეკომის თავმ-ჯდომარემ იხელთა დრო, გადასწყვიტა ბაჩანას მოკვლა; გაღეშილმა უბრ ანა თავის უფროს მილიციონერს ესოლა რაზიკაშვილისათვის და მოეკლა. მაგრამ საბედნიეროთ მხოლოდ ორი პატრონა ჰქონდა და ისიც ააცდინა.

რაზიკაშვილმა თავის დასაცველათ რევოლვე-რით იმოქმედა. დაჭრა მილიციის უფროსი და

სასიკვდილოთ დაჭრა რევეკომის თავმჯდომარე-ს ამბავი ვაიგეს რევეკომის თავმჯდომარის ძმებმა და დამქაშებმა, ვაიგვანეს ბინიდან თედო რაზიკაშვილი და იმ დროს იქ შესწრებული მი-სი ქვისლი გავნიძე, ჩაიგვანეს სარდაფში გაა-ტიტვლეს და ცოფიანი ცვირლით «ეს მენშე-ვიკების ძალლი უნდა მოშორდეს წუთი სოფელ-საო» სულ აკუწეს. მის ქვისლს გავნიძეს უმო-წყალოთ სცემეს და ნაცემი საავათმეფოში წა-იგვანეს.

შეატკობინეს მაზრის რევეკომს. შედეგათ ის მოხდა, რომ მთელს ქონებას თედო რეზიკაშვი-ლისას უყვეს კონფისკაცია, «ეს მენშევიკების ძალლია და ჩვენი მთავრობის მტერიო». არ მის-ცეს ნება წესიერათ მიგბარებინათ მისი ნაწამე-ბი სხეული მიწისათვის; გაათხრვერნეს მისივე ენოში საფლავი, ჩაგარეს მისი დაკუწული სხეული და მიაცარეს მიწა.

შემდგ მოიწვიეს ხალხი და აცვირეს: «თე-დოს ქვისლი გავნიძე და ცბრამდე მენშევიკები უნდა დაიხვრიტოსო». ერთმა ორმა გაბედა სიტყვის შებრუნება და მათაც უმოწყალოთ სცემეს.

ხალხი შეძრწუნებულია. ველურების დრო დადგაო, ცველა ამას ჩივის.

აი ასე მხეცურათ გამოასალმეს წუთისოფელს ბოლშევიკებმა სახალხო მგოსანი მოხუცი ბა-ჩანა.

მარიამ გურიანიძე

რომელი დარგი ჩვენი ცხოვრების არ დააო-ბლა შემოსეულმა უბედურებამ, რომელ წრეს არ მოსტაცა საუკეთესო და უსაცვარლესი მზრუნ-ველი და თანამშრომელი: მაგრამ განსაკუთრე-ბითი რისხვა მოლალატე კომუნისტების ქარ-თველ მუშებს და გლეხებს დააწვა კისერზე.

მოწინავე მუშები—შეიქნა მთავარი საგანი მათი დევნის, და შეგნებული ადამიანი—მთავა-რი მტერი, რომლის განადგურება ამ სიბნელის და რეაქციის მოციქულებს თითქოს «რევოლიუ-ციურ» მოვალეობათ გაუხდიათ.

და ამ უხეში, უღმობელი ბრძოლის მსხვერ-პლი შეიქნა მარიამ ბერიანიძე.

ვინ იცო მარიამი? უბრალო მუშა ქალი, პაპიროსების მკეთე-



ბელი, იმ ქარხნების შვილი და შეზრდილი, სადაც პირველათ ჩაისახა ჩვენში პროლეტარ ქალთა შრომა მრეწველობის სფეროში. იმ ქარხნებში გამოზრდილი, სადაც ჩვენი დები ლევენ თავის სიახალგაზრდავეს, და იბნელებენ მკვირცხლ, ცოცხალ თვალებს, რომ თავი იჩინონ, ლუკმა პური მოიპოვონ. პირველი მუშა-ქალთა პიონერი, ცველასაგან საცვარელი მარიამ ბერიანიძე ადრევე ჩადგა სოც.-დემ. მუშათა რაზმში და 20-25 წელიწადი იდგა მუშათა სადარაჯოზე, საიდანაც თავგანწირვით ემსახურებოდა თავის დების გონებრივ განვითარებას, კლასობრივ გათვითცნობიერებას. თვით ღარიბი ოჯახის შვილი, ძლივს წერა-კითხვის მცოდნე, იგი ცოდნის წყურვილით გატაცებული, სხვებშიც ანთებს განვითარების სურვილის ცეცხლს და იკრებს თავის გარშემო პროლეტარ ქალთა სიმპატიას და სიყვარულს. თფილისის მუშებმა იციან მისი მუდამ გაბედული სახე, ოდნავ მომღიზიარი ტუჩები, რომელზედაც მძიმე შრომის მძიმე ბეჭედიც გამოსჭვივოდა. მაგრამ მარიამი არასოდეს არ უნახავთ გულ-გატეხილი. იგი მუშაობდა და სწამდა, რომ საბოლოო განარჯვება მშრომელ ხალხთა იდეალების უზრუნველყოფილი იყო ცხოვრების უძლეველ კანონებით.

და მარიამი ამიტომ მიღებული იყო ცველა მუშებისაგან. მას დიდი პატივისცემით ეპატივდებოდნენ ცველა მოწინავე ამხანაგები, მას ირჩევდნენ მუდამ საპასუხისმგებლო პოსტზე მისი თანამომუშავე პროლეტარი ქალები. 1905 წელს პირველი რევოლუციის დროს, იგი უკვე გამოჩენილი მომუშავე იყო, ხოლო 1917 წელში ჩვენ მას ვხედავთ მუშათა საბჭოში და მის აღმასრულებელ კომიტეტში.

და განა ეს საკმარისი არ იყო, რომ შავ-წითელ ბოლშევიკებს იგი თავის მოსისხლე მტრათ დაესახათ? განა საკმარისი არ იყო, რომ ეს თავდადებული ადამიანი მარქსიზმის სწორ გზას მიყვებოდა, და კომუნისტთა უტოპიებს არ იზიარებდა, რომ იგი ჩვეის ჯალათებს ციხეში მოეთავსებიათ?

დიახ, ის დაიჭირეს... შემდეგ მეტეხი... შიმშილი... უსუფთაობა, სნეულება, ტიპი, სიკვდილი... იქნის შური ბნელეთის მოციქულებმა პირნათელ ადამიანზე.

«მუშათა კლასის, სახელით» ბოროტმომქმე-

დებმა ჩაკლეს მუშათა წრის საუკეთესო წევრები მომადგენელთაგანი.

მაგრამ ისტორია ამ მსხვერპლს სულ სხვა შედეგს უმზადებს, მუშათა კლასი მას გულში ჩაიკრავს, როგორც თავის ძვირფას მოწინავე ამხანაგს, ხოლო მისი სიცოცხლის მომშხამველთა—ზიზღით მოიხსენიებს. მისი ამხანაგები—მის ადგილს ერთი ასად გააფთრებული შეებრძოლებიან იმ დაუნდობელ რეჟიმს, რომელმაც ასეთი ძვირფასი განძი გამოსტაცა ხელიდან თფილისის მუშათა კლასს საერთოდ და თფილისის პროლეტარ ქალთა მოძრაობას კერძოდ.

გემშვიდობებით ამხ. მარიამ, მაგრამ შენს სახელს გულიდან არ მოვიშორებთ და შენს საქმეს დაუგვირგვინებლათ არ დავსტოვებთ. თფილისის პროლეტარი-ქალები—გგლოვობენ, და თან შენ სახელს ფიცულობენ... მშვიდობით. რ.

ლეო ნათაძის დაკრძალვა.

ამხ. ლეოს სიკვდილი თავზარდამცემი შეიქნა ცველა მისი პარტიული ამხანაგებისათვის, მუშებისათვის და საერთოდ ცველა ქართველისთვის, განურჩევლად რწმენისა... ურვა და ვიშს ლეოს დაკარგვით გამოწვეულს საზღვარი არ ჰქონდა. ლეო გადაიცვალა 3 თებერვალს დილის 6 საათზე. იმავე დღეს შესდგა მისი დამკრძალავი კომისია. გამომუშავებულ იქნა დაკრძალვის წესები. 5 თებერვალს საღამოს 5 ს. ლეოს ცხედარი ბინიდან ქვაშვეთის ეკლესიაში იქნა გადასვენებული. გადასვენებას უმრავი ხალხი დაესწრო. დაკრძალვის დღეთ 6 თებერვალი იქნა დანიშნული. სახალხო განათლების კომისარიატში გადაეცა სამგლოვიარო განცხადებები გასაკვრელად (ასეთია წესი) ნაწილი განცხადებებისა თვით მუშებმა გააკრეს მუშათა რაიონებში. ხოლო სახალხო განათლების კომისარიატმა არც ერთი განცხადება არ გააკრა—ფული კი წაიღო გაკვრისათვის.

6 თებერვალს დილის 12 საათზე ასაფლავებდნენ ბოლშევიკური «სოციალისტური» ჯალათების მსხვერპლს—მშო ბერიანიძის ასულს, რომელიც სანამ სული ამოხდებოდა მეტეხის ციხიდან სააღამეოფოში არ გადიცანეს. ლეოს გადასვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან დანიშნუ-

ლი იცო 3 საათზე. ამ დროისთვის ორ ათასამდე მუშები მოვიდნენ ქვაშვეთის ეკლესიაში. ყველას სახე დაღვრემილი ჰქონდა. ცეცხლა გლოვობდა საუკეთესო რევოლუციონერის, მომხადებული სოც.-დემოკრატის, დამფუძნებელი კრების წერის და უანგარო საზოგადო მოღვაწის უდროვოდ დაკარგვას. განსაკუთრებით დრმათ განიცდიდნენ ამ გლოვას თფილისის მუშები. მიუხედავად იმსა, რომ დამკრძალავ კომისიას «საბჭოთა» საქართველოში, სადაც რიანანის, სარატოვის და კალუგის გლენები-ჯარის კაცთა სახით მოვლინებულნი თავის საკუთარ გაწეთებს სცემენ, საშვალემა არ ჰქონდა განცხადება გაეკეთებინა ქვეშარტი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და მშრომელი კლასის განთავისუფლებისათვის დაუდლავად მებრძოლ ლეოს გარდაცვალების შესახებ. მიუხედავად ამისა 3 საათისთვის ქვაშვეთის ეკლესიასთან რამოუენიმე ათასი კაცი მოგროვდა. დაკრძალვას წმინდა ეროვნული ხასიათი მიეცა. ქართველმა ერმა ლეოს ცხედარი შეამკო ცოცხალი ცვაილებისაგან გაკეთებული გვირგვინით, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა გაკეთებული: უანგარო მოღვაწეს—ლეო ნათძეს—ქართველი ხალხისაგან.

3 1/2 საათზე პროცესია დაიძრა რუსთაველის ქუჩით დიდუბის პანთეონისაკენ. მთელი რუსთაველის ქუჩა ხალხით გაიჰვდა. ცოველგვარი მოძრაობა შეწყდა: ეტლები, ავტომობილები გაჩერდნენ. წინ შავი დროშა, მას მიყვება სამოქალაქო გუნდი, დამკრძალავი კომისიის წევრები, მიცვალებული და უკან ზღვა ხალხი. მთელი პროცესია დიდუბის პანთეონამდე არ შემცირებულა... პანთეონში ქართველთა სახელით მიცვალებულს სიტყვა უახრა თ. კიკვაძემ. თფილისის მუშების სახელით მეტად მგრძნობიარე სიტყვა სთქვა მუშა სანდრო ფარნიევმა. სიტყვები სთქვეს ქრ. რაჰველიშვილმა სოც.-ფედ. პარტიის სახელით, კ. ნინიძემ «სხიველების» სახელით, ობოლმა მუშამ ჟურნალ «ზომალდის», ია ეკელაძემ მწერალთა საბჭოს სახელით, ჩიგოგიემ მასწავლებელთ კორპორაციის სახელით (საბჭოთა მთავრობის მიერ მასწავლებელთა კავშირი დაშლილად არის გამოცხადებული) ვ. საბახტარაშვილმა ცეკავშირის სახელით. ცეცხლანი აღნიშნავდნენ ლეოს უანგარო მოღვაწეობას საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ასპარეზზე სხვა და სხვა დარგში, მის დაუშრეტელ ენერგიას, ნიქს, მომხადებას და იმ დიდ დანაკლისს, რომელიც მთელმა ერმა განიცადა ლეოს დაკარგვით. ცეცხლანი ამბობდნენ, რომ ურვა და ვიშს,—ლეოს სიკვდილით გამოწვეულს, გვიათკეცებს ის გარემოება, რომ დღეს თუ ხვალ საქართველო განთავისუფლდება არა მკითხე ხალხისაგან და ზეიმს გამართავს, ხოლო ამ ზეიმში ლეო ვერ მიიღებს მონაწილეობასო. ცეცხლანი წეველით და კრულით იხსენიებდნენ საბჭოთა მთავრობას და იმედს გამოსთქვამდნენ, რომ საქართველო მალე განთავისუფლდება რუსის ჩეჰმისაგან და დადგება თავის განვითარების ნამდვილ გზასო. მაგრამ ჩვენი ძვირდასი, ენერგიული თანამებრძოლი სამწუხაროდ გვერდში არ გველოლებო.

აი, ასე გამოეთხოვა ამხ. ლეოს თფილისის მუშათა კლასი და დემოკრატია.

თფილისი. ამხანაგი.

საქართველოს დასაცვლათ.

(პასუხი ოპონენტებს) *

მ. ს.

თქვენი პატივცემული გაწეთის 21 და 28 იანვრის და 4 თებერვლის №2 №2-ში მოთავსებულია ვრცელი წერილები ე. კ. ლ.-ის სათაურით: «ბოლშევიკების შემოსევა საქართველოში» და კოატისის წერილი ჩემდამი მიმართული. ორივე ავტორი თავის წერილებში მოსკოვის მთავრობის დამცველთა როლში გამოდიან.

ამიტომ ნება მიბოძეთ აქვე გავსცე პასუხი ორივე ავტორს.

დავიწყოთ ბ-ნი ა. კ. ლ.-დან. მის წერილს არ ეტყობა, რომ მისი ავტორი კარგათ იცნობდეს საქართველოს საკითხს. ან დანტერესებული იცოს მით. საქართველოს საკითხს ის უეუტრებს, როგორც ინგლისის მუშათა კლასის ლიდერებთან ანგარიშის გასასწორებელ საშვალელებას. რამდენათ მართალია ის, როცა ინგლისის საქმეებზე ლაპარაკობს, ამას მე არ შევე-

* ეს წერილი დაიბეჭდა ინგლისის სოც.-დემ. გაწეთ «ფორვარდში».



ხები. მაგრამ თუ ამ სდეროზიაც ის ისეთსავე ცოდნას იჩენს, როგორც საქართველოს საკითხში,—ეს კი არ შეიძლება მივულოცოთ.

მართლაც:

1) ბ-ნი ა. პ. ლ. მოგვითხრობს, როგორც უდავო დაქტს, თითქოს 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში მუშათა უმცირესობას მოეხდინოს აჯანცება გლეხთა უმრავლესობის წინააღმდეგ და ამით იცოს გამოჩეველი რუსეთის ჯარის შეშლსელა საქართველოში.

ნამდვილათ კი ასეთი ვერსია ცარიელი ფანტაზიაა.

საქართველოში ისე, როგორც რუსეთში, შეუძლებელია ასეთი დაპირდაპირება «მუშების» და «გლეხების» როგორც მაგ. ინგლისში ან გერმანიაში. იქ, სადაც მუშებს შენარჩუნებული აქვთ კავშირი მიწასთან და სოფელთან, სადაც მათი ოჯახები ხშირათ გლეხებთან ერთათ ცხოვრობენ, როცა თვითონ ისინი ქარხნებში მუშაობენ, ასეთ ქვეყნებში, ვაშბობ მე, მუშები და გლეხები ბუნებრივათ წარმოადგენენ ცოტათ თუ ბევრათ ერთნაირ მასსას, როგორც პოლიტიკური იდეალებით, ისე თავის ყოფა-ცხოვრებით და ფსიხოლოგიით.

ამიტომ არც რუსეთში, და არც საქართველოში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო «მუშათა უმცირესობის აჯანცება გლეხთა უმრავლესობის წინააღმდეგ» და ეს სრულიად ბუნებრივია ამ ქვეყნების დღევანდელ ეკონომიურ განვითარების საფეხურზე.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების დაზნახსიათებელი თვისება ამ უკანასკნელ წლებში იყო სწორეთ ის, რომ გლეხთა დიდი უმრავლესობა მუდამ მუშებთან ერთათ მიდიოდა და ამ ორ სოციალურ ჯგუფ შორის არავითარ პოლიტიკურ შეხლა-შემოხლას და დავას ადგილი არ ქონია.

ასე იყო ოთხივე სახელმწიფო დუმის არჩევნების დროს, ასე იყო 1917 წლის რევოლიუციაშიც, დამფუძნებელ კრების არჩევნებშიც, დამოუკიდებელ საქართველოს 3 წლის არსებობის განმავლობაში, და რასაც განსაკუთრებით მივაქცევ ბ-ნ ა. პ. ლ.-ს ყურადღებას,— ასე იყო საქართველოს თავდაცვის საქმეშიაც საბჭოთა რუსეთის ჯარების თავდასხმის დროს.

თუ რომელიდაც «იტალიელი» სოციალისტი»,— მოსკოვის ინტერნა ციონალის წევრი

— მხარს უჭერს გაზ. «ავანტა»-ში შემოქმედებული სიას, რომელიც ამბობს, თითქოს — მოსკოვის შევიკები საქართველოში აჯანცებულ მუშების დასახმარებლათ იციენ შემოსული, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იტალიაშიაც ცოფილა ერთი ისეთი სოციალისტი, რომელმაც თავი მოატყუილებინა მოსკოვის აგენტებს სწორეთ ისე, როგორც ა. პ. ლ.-მა... თვით ბოლშევიკებმა ძალიან კა გათ იციან ამ მტკიცების ფასი და ღირსება. ამიტომაა, რომ ისინი არსებით პასუხს ვერ იძლევიან დღემდე ჩვენს ბრალდებებზე; ამიტომაა, რომ ისინი უარს ამბობენ, საქართველოში ევროპის სოციალისტების და კომუნისტებისგან შემდგარი შერეული საანკეტო კომისიის დაშვებაზე.

2) ბ-ნი ა. პ. ლ. უკვირს, რომ ჩვენ პროტესტით მიემართეთ ევროპის პროლეტარიატს საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოსევის გამო მაშინ როდესაც ხმა არ ამოგვილია, როცა საქართველოს ტერიტორიაზე ინგლისის ჯარები იმყოფებოდენ.

ავტორი ცხადია, ვერ ამჩნევს რა განსხვავებაა ამ ორ მოვლენას შორის. საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოვიდენ ჩვენში ომით: მათ მოსკვს რესპუბლიკის ცვლა დემოკრატიული დაწესებულებები, გააუქმეს სამოქალაქო თავისუფლებები, ძალით მოახვიეს ხალხს თავის მართელობა და დღესაც განაგრძობენ მოძალადეობის რეჟიმს. ინგლისის ჯარი კი შემოვიდა ჩვენში გერმანელ და ოსმალთა ჯარების შესაცვლელათ, თანახმად ზავის პირობებისა და ისიც დროებით; ისინი სრულიადაც არ ჩარეულან ჩვენს შინაურ საქმეებში, არ შეუღახავთ ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებები, არ გაუუქმებიათ მოქალაქეთა უფლებები და არც შეხებიან ჩვენში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

რაც შეეხება ქ. ბათუმს, უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ ა. პ. ლ. რომელსაც რუსეთის საქმეების კარგ მცოდნეთ მოაქვს თავი, არ უნდა დავიწყებოდა ის გარემოება, რომ ბათუმი ბოლშევიკებმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ჩამოსკრეს საქართველოს და გადასცეს ოსმალეთს. ინგლისელებმა კი ეს ქალაქი ჩამოართვეს ოსმალეთს და შემდეგ 1920 წლის ივლისში საქართველოს რესპუბლიკას დაუბრუნეს.

ამის შემდეგ გასაკვირველი არ უნდა იცოს, რომ ჩვენ არ გავვიცხადებია პროტესტი ჩვენში



ქართული
საქართველო

ინგლისის ჯარის ყოფნის წინააღმდეგ, ხოლო მთელი ჩვენის ენერგიით ვაცხადებდით პროტესტს იმ საოკუპაციო და ტერორისტულ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც მოსკოვის მართველობამ შემოიღო საქართველოში.

3) ბ-ნი ა. პ. ლ. ცოდვით გვითვლის ნეიტრალიტეტის დაცვას რუსეთის სამოქალაქო ომში.

აქ კი ჩვენ შორის პრინციპიალური განსხვავებაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცველა ქვეყნის სახელმწიფო წყობილება უნდა გამომდინარეობდეს მის მცხოვრებთა სურვილისაგან და შინაგან საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებისაგან და რომ შეუძლებელია გარედან, ხიშტების საშვალებით ხალხისთვის ამა თუ იმ მართველობის თავზე მოხვევა. ბ-ნი ა. პ. ლ. კი წინააღმდეგია ინტერვენციის, როცა ის მისი მეგობრების წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ მზათ არის ქებათა-ქება შეასხას ასეთ ჩარევას, და პირდაპირ მოითხოვოს იგი, როცა იგი მის სასურველ პარტიას უწევს დახმარებას.

ამ საკითხში ჩვენ რასაკვირველია ვერ შევირიგდებით.

მაგრამ გარდა ამ პრინციპიალური განსხვავებისა, ბევრი რამ ბ-ნ ა. პ. ლ.—ს წერილში წმინდა გაუგებრობაზეა დამკარებელი. მაგ. ის ჩვენ გვიკითხნებს, ალექსეევს და კრასნოვს რატომ არ დაესხით თავს მათი ოპერაციების დასაწყისშივე 1918 წელსო. მაგრამ ამ თეთრი გენერლების ძალთა დაგროვება ხდებოდა დონზე, რომელიც 1,000 კილომეტრით არის დაშორებული საქართველოს საზღვრებზე. ბ-ნ ა. პ. ლ.—ის აზრით ჩვენ უნდა ვაგვეგზავნა ჩვენი ჯარები როსტოვს და ნოვოჩერკასკში, გზა და გზა დაგვეყარო: ყუბანის, თერგის და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები, რომელნიც თავის ნებით რასაკვირველია არ გაატარებდნენ თავის ტერიტორიაზე ჩვენ შეიარაღებულ ძალებს. ეს ისეთი აბსურდი გამოუღდის ბ-ნ ა. პ. ლ.—ს, რომ ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ, რომ ბ-ნ ა. პ. ლ. არ იცის, სად რა არის, არ იცის სად იყო 1918 წელს ალექსეევ-კრასნოვი და სად საქართველო.

მაგრამ ბ-ნ ა. პ. ლ. ისტორიაშიაც არა ნაკლებს სუსტია ვინემ გეოგრაფიაში. მაგ. ის თავს ეხსმის კერენსკის დროებით მთავრობას და უსაყვედურებს—ფინლიანდიის მუშებს დახმარება არ აღმოუჩინა 1918 წელს აჯანყების დროსო. ეს მოღალატეობა! გაიძახის ბ-ნი ა. პ. ლ. კე-

თილი, მაგრამ ვინ ჩაიღინა ეს მოღალატეობა? 1918 წელს დროებითი მთავრობა რუსეთში უკვე არ არსებობდა, იყო მხოლოდ ლენინის მთავრობა. და აი ეს მთავრობა იცავდა ნეიტრალიტეტს პეტროგრადიდან 50 ვერსის მანძილზე გაჩაღებულ სამოქალაქო ომის მიმართ, რომელიც აქვე უნდა ითქვას, ავით მისგან იყო გამოწვეული.

ცხადი არის, რომ ბ-ნი ა. პ. ლ. ტყვილათ გვისაყვედურებს სამოქალაქო ბრძოლაში ჩაურევლობას 1000 კილომეტრის სიშორეზე თელისიდან, და ისიც ისეთ ბრძოლაში, რომლის გაჩაღებაში ჩვენ არავითარი წილი არ გვიდევს!

დაბოლოს ალექსეევ-დენიკინის და ლენინ-ტროცკის სახით სამოქალაქო ბრძოლაში ერთმანეთს დაეტაკა ორი დიქტატურა შავი და წითელი. ორივე მხარე ერთნაირათ უარყოფდა დემოკრატიას, ხალხის სუვერენიტეტს და პოლიტიკურ თავისუფლებას. ორივე მხარე ემყარებოდა ხიშტების ძალას და თავის ბატონობის ტერორის საშვალებით დამკარებებს. ორივე მხარეები ერთნაირათ მტრულათ უეჭურებდნენ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც დემოკრატიულ ოაზისს.


ასეთ პირობებში ცხადია ჩვენ ერთათ-ერთი მიზანი უნდა გვქონოდა საკუთარ საზღვრებზე გამაგრება და ხან ბოლშევიკების—ხან დენიკინელების შემოსევისაგან თავის დაცვა, იმის მიხედვით, თუ რომელი ძალა მოუახლოვდებოდა ჩვენს საზღვრებს.

4) ბ-ნ ა. პ. ლ. თვითონაც გრძნობს, რა სუსტია მისი პოზიცია და ამიტომ საკითხის არსებითათ დაეცნებას გაურბის, ის მხოლოდ წერილმანებზე აჩერებს თავის ყურადღებას და მრავალ მცირე შენიშვნებს ეტანება, რომელნიც საქმეს სრულიად არ ეხებიან.

რატომ მისცა 1920 წელს ინგლისის მთავრობამ პასპორტები: მაკდონალდს, შოუს, ქ-ნ სნოუდენს საქართველოში ჩასასვლელათ, და არ მისცა 1917 წელს პასპორტები რუსეთში ჩასასვლელათ დამ. მუშ. პარტიის ზოგიერთ წევრებს?

რატომ 1921 წელს მე მომცეს ნება ლონდონში მოსვლის, ხოლო 1919 წელს ამხ. ლონგემ ვერ მიიღო ასეთი ნებართვა?

მე, როგორც დემოკრატი, წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი საპასპორტო შეზღუდვების, და



ჩვენში, საქართველოში ბოლშევიკების შემოსევამდე არავითარ ამგვარ შევიწროებას აღვილი არ ქონია.

ბ-ნ ა. პ. ლ. სჩანს ჩემსავით წინააღმდეგია ამ სახის აკრძალვების, მაგრამ ეს რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო, არ უშლის მას დაცვას ბოლშევიკები, რომელთაც არა თუ წაართვის თავის მოქალაქეებს უცხოეთში წასვლის უფლება, არამედ სახელმწიფოს შიგნი ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლასაც არ ანებებენ.

ხოლო თუ ა. პ. ლ. არ ესმის, რატომ გასცა აღვილი ინგლისის საგარეო სამინისტრომ პასპორტები 1921 წელს და არ გასცა 1917 და 1919 წელში. მაშინ უნდა მოვახსენო, რომ 1917 წელს ომი ისევ სწარმოებდა, ხოლო 1919 წელს ის-ის იყო ჩამოვარდა ზავი. ამიტომ იყო, სხვათა შორის, რომ ჯერ კიდევ სოციალისტური დღეგაციის ჩამოსვლამდე საქართველოში ინგლისის მუშ. დღეგაციამ მიიღო პასპორტები საბჭოთა რუსეთში წასასვლელათ.

5) დაბოლოს, რა წარბეჭდიდან კრეფს თავის ცნობებს ბ-ნი ა. პ. ლ.?

სოციალისტების მოწოდებას ის არ უჯერის, ჩვენი მუშების მოწოდებებს და მიმართვას განხე სდებს. საშავიეროთებლაუჭება, რომელიც ინგლისელი კომერსანტის ცნობებს, რომელიც სწერს საქართველოს რესპუბლიკაზე «ნევ სტატემ». მოსაქმე კაცის თვალსაზრისით, რომელსაც შეიძლება თავის გადაჭრბებული კომერციული ანგარიშები არ გაუმართლდა, და ამიტომ საქართ. დემ. რესპუბლიკის მთავრობაზე გაჯგარბებული. ასეთი მოწმეები ბ-ნ ა. პ. ლ. შეუძლია საკმაოთ იზოვნოს.

ბ-ნ ა. პ. ლ. ხშირათ იხსენიებს აგრეთვე მართვის და მის ავტორიტეტს დიდის ნდობით ეყრბობა. მაგრამ მას ამავე დროს სრულიად ავიწყდება ერთი რამ ამცნოს თავის მკითხველებს, ის, რომ მართავი ენერგიულ პროტესტს უტბადებს საქართველოს რესპუბლიკაზე ბოლშევიკების თავდასხმის წინააღმდეგ და მოითხოვს იქიდან რუსის საბჭოთა ჯარების გაყვანას.

რა დასკვნების გამოცვანა შეიძლება ამ რიგათ ბ-ნ ა. პ. ლ. ვრცელი წერილიდან?

1. ავტორი სწერს იმაზე, რაც არ იცის.
2. მიიღო რა თავის თავზე უიმედო საქმის დაცვა, ის იძულებულია არსებითი საშუალების

ნაცვლათ წერილმანი შენიშვნებით და დელოებით გაგვიმასპინძლდეს ჩვენი ინგლისელ მეგობრებს.

გადავიდეთ ბ-ნ კოატისს წერილზე. ეს ავტორი ახლაც ხელალებით ამტკიცებს, თითქოს საქართველო დღესაც დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენდეს, და მაზე მოსკოვის ხელის-უღლება არ ვრცელდებოდეს. ეს სრული შეცდომაა. მართლაც, და ვგრეთ წოდებული «საქ. რევოლ. კომიტეტი», ქართველ მუშებს და გლეხებს არ აურჩევიათ, ისანი მოსკოვის მთავრობამ დანიშნა თავის ძველი მოსამსახურეებიდან. ასე მაგ. რევ. კომ. თავმჯდომარეთ დანიშნულია ბ. მდივანი, რომელიც წინეთ მოსკოვის ელჩათ იყო ანგორაში. მის ამხანავათ არის ს. ქავთარაძე—თანაშემწე მოსკოვის ელჩისა თფილისში, სამხედრო კომისრათ ელივა, რომელიც ამავე თანამდებობაზე იყო თურქესტანში, შინაგან საქმეთა კომისრათ კვირკველია, რომელსაც იგივე პოსტი ეჭირა ჩრდილო-კავკასიაში. ჩეკას თავმჯდომარეთ კ. ცინცაძე—ამავე თანამდებობაზე იყო ჩრდილო-კავკასიაში. და ასე ბოლომდე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცვლეა ეს პირები (გარდა ს. ქავთარაძისა) რუსის ჯარებს შემოცვენ საქართველოში.

მეორე გარემოება არანაკლებ დამახასიათებელია: ერთათ-ერთი რეალური ძალა, რომელსაც ეს ვაჟბატონები ეყრბნობიან საქართველოში—ეს საოკუპაციო რუსული ჯარებია. სხვა შეიარაღებული ძალა საქართველოში არ არსებობს, რადგან ქართულ «წითელ ლაშქრის» შედგენაზე ბოლშევიკებმა თითონ აიღეს ხელი.

და მე ვეკითხები ცოველ მიუდგომელ მკითხველს, შეიძლება ასეთ პირობებში რომელიმე ქვეყნის ნამდვილ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი?

აი ამიტომ მე ხელახლა ვაცხადებ, რომ დავა გვაქვს არა უუფლებო მოსკოვის ნოქრებთან, რომელნიც თფილისში მსახურბენ, არამედ მოსკოვის მთავრობასთან, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ძალით დაიკავა. «ხაზინებს» ძალიან კარგი წარმომადგენლობა ცავთ ლონდონში და შეუძლიათ თვითონ იზრუნონ იმაზე, რომ თავის ნოქრები გვერდში ყავდესთ საქმის გარჩევის დროს.

რომ ბ-ნ კოატს, მართლა აინტერესებდეს



საქართველოს საკითხის გადაჭრა ინგლისის შეკავშირებული მუშების წინაშე—ის მხარს დაუჭერდა ჩვენს მოთხოვნილებას არბიტრაჟის შესახებ ჩვენსა და მოსკოვს შორის. მაგრამ, შეიძლება, საქართველოს საკითხი ურო ნაკლებ ანტირესებს, ვინემ ქართველ კომუნისტებისთვის პასპორტების მიღება?

თუ ასეა, მე პირდაპირ უნდა ვუპასუხო მის მიერ დასმულ კითხვებზე:

ჩვენი ქვეყანა დაპყრობილია მტრისაგან, რომელიც თვალთ უნახავი სისასტიკით სტანჯავს ხალხს. ქართველი ერის თავისუფლება მოსპობილია, მისი დემოკრატიული დაწესებულება დანგრეული, მისი დამოუკიდებლობა არააბათქვეული. ქართველი მუშები შრომის მილიტარიზაციის გამო უუფლებო კატორღელებათ არიან გადაქცეული. ათასობით მუშები გადასახლებული უცხოეთში, ათასობით სოციალისტები და მოწინავე მუშები ციხეებში იტანჯებიან, ათასობით მოქალაქეები იძულებული არიან ტყეებს შეაფარონ თავი, რომ ბოლშევიკურ ჯალათებისგან იხსნან თავის სიცოცხლეს.

და ბ-ნი კოატსი მე მაძლევს წინადადებას მასთან ერთად გავწიო შუამდგომლობა ამ ჩვენი ქვეყნის ჯალათების სასარგებლოთ!

მე არაფერი არ მაქვს საწინააღმდეგო, თუ ეს ვაჰბატონები წაბრძანდებიან იქ, სადაც მათ მოესურვებათ. მაგრამ ქართველი მუშები და ქართველი ხალხი, რომელმაც მე მომანდო თავის ინტერესების დაცვა, ვერასოდეს ვერ მიხილავს მისი მტრებისა და მტარვლების დამცველთა როლში.

ჩვენ ვუთმობთ ბ-ნ კრასინს და კოატს მათზე ზრუნვას. ჩემი ხმა კი მათსას არასოდეს არ შეუერთდება.

რომ საბოლოოთ მოვრჩეთ ბ-ნ კოატსთან კამათს, აი კიდევ ერთი ნიმუში იმის, თუ რა გადაჭარბებულ ერთგულებას იჩენს ის ბოლშევიკების დაცვის საქმეში.

ის ირწმუნება, თითქოს უკანასკნელ საბჭოთა არწევნების დროს საქართველოში, მიუხედავად, ჩვენი პარტიის მიერ *) გამოცხადებულ ბოიკოტისა—მუშათა და გლეხთა 80% მიეცეს ხმა ბოლშევიკებისთვის. უნდა ვაღვიაროთ, რომ ამის მტკიცება თვით ბოლშევიკებსაც არ გაუ-

*) ნამდვილათ ბოიკოტს მიეზრო ყველა პოლიტიკური პარტიები საქართველოში.

ბედათ: ისინი თავს იწონებენ იმის, რომ საქართველ კომუნისტებში 80% კომუნისტებიაო— მაგრამ ეს % ძლიერ მცირეა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ პირობებს, რომელშიაც ხდებოდა არჩევნები, როგორც ამას ჩვენი ცენტრ. მოწოდება გვიჩვენებს. მაგრამ ბოლშევიკური წყაროები უმაღლეს მკითხველებს იმას, რომ საარჩევნო კრებებზე, რომელსაც 500-დე კაცი ესწრებოდა, არჩეულათ აცხადებდნ ისეთი კანდიდატს, რომელმაც 5—6 ხმა მიიღო, დანარჩენი ხმები კი ბათილდებოდა.

მაგრამ შეიძლება კი განა სერიოზულათ ლაპარაკი თავისუფალ არჩევნებზე იმ ქვეყანაში, სადაც არავითარი პოლიტიკური თავისუფლება არ არსებობს?

რას იტყოდა ბ-ნი კოატსი, ინგლისის მთავრობას რომ მოესურვებია ასეთი არჩევნების მოხდენა მის ქვეყანაში?

ნ. უორდანია.

ნოტა

გადაცემული რუმინეთის, პოლონეთის, ფინლიანდიის, ლიტვიის და ლატვიის სახელმწიფოებისთვის. 27 იანვ. 1922წ.

მე-ნი მუხლი კანის კონფერენციაზე მიღებულ რეზოლიუციისა, რომელიც შეეხება გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველ სახელმწიფოთათვის სავალდებულო პირობებს, ნათქვამია, რომ ეს სახელმწიფოები ვალდებული არიან ხელი აიღონ თავის მეზობლების წინააღმდეგ რაიმე აგრესიული ნაბიჯის გადადგმაზე.

და თქვენთვის, უცნობი არ არის, რომ საქართველო, რომელიც აღიარებულია იურიდიულათ სახელმწიფოების მიერ, მათ შორის საბჭოთა რუსეთისაგანაც, ყოველად უმიზნოთ და წინასწარ ომის გამოუცხადებლათ შემოესია ეს უკანასკნელი, და რომ მისი ჯარები დღესაც განაგრძობენ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას.

ზემო აღნიშნული მუხლი უკვე დარღვეულია რუსეთის მიერ.

ზედმეტია მთელი იმ მნიშვნელობის აღნიშვნა, რომელსაც უნდა აძლევდეს რუსეთისაგან გამოყოფილი სახელმწიფოები, ან მის მეზობლათ მყოფნი, იმას, რომ შექმნას ისეთი პრეცედენტი, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ზემო



ხსენებულ მე-ნ მუხლს, ვინაიდან როგორც გვიჩვენებს წარსული, არც ერთი მათგანი არ არის უზრუნველყოფილი ანალოგიურ-აგრესიული მოქმედებისაგან, როგორც ჩადენილ იქნა მოსკოვის მთავრობისაგან საქართველოს მიმართ.

ამის გამო, ამ სახელმწიფოების ინტერესები მოითხოვენ, რომ გენუის კონფერენციაზე დაშვების ერთ-ერთ წინასწარ პირობათ იქნეს დადებული—რუსების ჯარებისაგან საქართველოს ტერიტორიის განთავისუფლება.

ამიტომ ნოტა მოითხოვს ამ სახელმწიფოებისაგან, რათა მათ დელეგაციის გენიუს კონფერენციაზე მიეცეს ასეთი მანდატი მოითხოვონ:

- 1) საქართველოს ევაკუაცია რუსეთის ჯარებისაგან.
- 2) საქართველოს წარმომადგენლის დაშვება კონფერენციაზე.

ჩხენკელი.

ალმოსავლეთის გელგის საქართველო *)

აქა-იქ ამზადებენ გენუის კონფერენციის პროგრამას. ფილოსოფოსს შეუძლია წინაწინვე სთქვას, რომ ეს იქნება მოვლევების საერთაშორისო კონფერენცია. აი ბ. ბენუშმა**), ინგლისიდან დაბრუნებულმა, ჩამოგვიარა პარიზში, როგორც ყოველთვის თავაზიანმა, საფრანგეთის ერთგულმა მეგობარმა, გულით და გონებით მდიდარმა! არავის მასზე უკეთ არ შეუძლია გვამცნოს ბ. ლოიდ ჯორჯის დიდი გულისწყრომის შედეგები. ჩვენ ვფიქრობთ, არც მოუზრდებლობათ ჩამოგვეერთმევა და სამართლიანად იქნება მადლობა ვუძღვნათ მას მისი მეგობ-

*) ამ წერილის ავტორი, საფრანგეთის პარლამენტის წევრი ელჟარდ ჰერიო არის, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე თანამედროვე საფრანგეთის. ის არის ლიდერი მართლველი პარტიის—რადეკალების მემარცხენე ფრთის. რამდენათ გავლენიანია ჰერიო იქედანაც სჩანს, რომ პუანკარემ, როცა მას მთავრობის შედგენა მიანდევს, პირველათ ჰერიოსთან ითხოვია, მისი აზრი გაიგო და აგრეთვე მინისტრის პორთფელიც შესთავაზა, რაზედაც ჰერიომ უარი უთხრა პუანკარეს, ხოლო თავისი ჯგუფის სახელით შეპირდა მხარის დაჭერას.

**) ჩხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც შუამდგომლობდა საფრანგეთსა და ინგლისს შორის შეთანხმებაზე გენუის კონფერენციისათვის.

«თავ. საქ.» რედ.

ბრული ცდისათვის საფრანგეთის სასარგებლოდ; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ცდის ნაცოფიერ შედეგებს მალე ყველანი საჯაროთ დაინახვენ.

მაგრამ საფრანგეთსა და დიდ-ბრიტანეთს, ისე, როგორც იტალია, ესპანა, როცა შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი შეთანხმებულათ იმოქმედებენ, სხვა მრავალ კითხვებთან ერთათ წინ დადგება ერთი კითხვა, რომელიც ჯერ არ ყოფილა მსჯელობის საგნად და რომლის შესახებაც ანტანტამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მე სახეში მაქვს საქართველოს და კავკასიის საკითხი. არავინ უნდა იფიქროს, რომ ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია. ეს არის, და ჩვენ ვფიქრობთ ამის დამტკიცებას,—მთავარი საქმე, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი ჩვენი მომავალი პოლიტიკა რუსეთისადმი: ეს საკითხი სდგას ერთსა და იმავე დროს როგორც ინტერესის და როგორც მოვალეობის საკითხი.

მოკავშირეთა გამარჯვებამ გაანთავისუფლა ამ რამოდენიმე წლის წინათ შავის და კასპიის ზღვების შუა მცხოვრები ოთხი პატარა ერი, რომლებიც ორი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში მომწყვდეულნი იყვნენ რუსეთის, ოსმალეთის და სპარსეთის მოქიშვე ძალზე შუა. ესენი არიან: სომხეთი (დედა-ქალაქი ერევანი), აზერბეიჯანი (დედა-ქალაქი ბაქო), საქართველო (დედა-ქალაქი თფილისი) და ჩერქეზეთი ანუ ჩრდილო-კავკასია.

სომხეთს ჩვენ ვიცნობთ რამოდენიმეთ იმ პროპაგანდის წყალობით, რომელსაც მისი შვილები განუწყვეტლივ ეწეოდნენ ჩვენ შორის; ჩვენ ვიცით, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა ეროვნულ ცხოვრებას და რომ ეს კლდეებით დაგვირგვინებული, ხეობებით დასერილი მთა-კუნძული წარმოდგენს ერთგვარ უზარმაზარ კიბეს, რომლის პირველი საფეხურები სწვდებიან ქალაქის ოქროსფერ მინდორ-ველებს, ხოლო მისი უმაღლესი მწვერვალები გასცქვირან შავსა და კასპიის ზღვებს. ერევანი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს სპარსელები და თურქები, წარმოდგენს რამოდენიმე ათას აგურის სახლს მოჩანჩქარე მდინარის ნაპირას ვენახებისა და ბაღების შუა გაშენებულს.—სომხეთის მარჯვენა მხრით—აზერბეიჯანი, რომლის სახელს ჩვენ

დროგამოშვებით გაზეთებში ამოვიკითხავთ ხოლმე, პირველი შეხედვით დიპლომატების ხელოვნურ ქმნილებად გვეჩვენება. ნამდვილა კი ეს სახელმწიფო წარმოადგენს გარკვეულ სახედრებით გარშემორტყმულ ბუნებრივ მხარეს; ის ეყრდნობა ძლიერ ვრცელს, სოფლის მეურნეობით და საქონლით მდიდარ დაბლობს. ურმიის ტბა შეადგენს მის ცენტრს; ხოლო გარეშემო მალალი მთები არტია. ოდესღაც მისი დედა-ქალაქი იყო ნახევრათ დანგრეული, მაგრამ მომხიბლავი ქალაქი, თავრიზით წოდებული, — ეს ცისფერი ჯამეებით, სპარსული ლეგენდებით და ფინაქრიანი ფაიანსით შემკული თავრიზი. დღეს კი მთავარი ქალაქი არის ბაქო, რომლისკენაც ამდენ მოცილეს გაუწვდია ხელი მას შემდეგ, რაც ის ნავთობა გაამდიდრა, მას შემდეგ რაც ამუშავდა მისი საარაკო წყაროები, რომლებიც, როგორც ამას ძველბურთი სალოცავები მოწმობენ, პირველ-ლადილ მოსახლეებს ცეცხლის ღმერთის წყალობათ მიაჩნდათ.

საქართველო კი წარმოადგენს კიდევ უფრო მკვიდრ ერთეულს, ვიდრე აზერბეიჯანი და თვით სომხეთიც კი. ეს ქვეყნის ერთი უმშვენიერესი ტომთაგანი, თავის ვაკაცი, ნიჭიერი და გულუხვი მამაკაცებით, წარმტაცი და სწორი და წმინდა სახის მოცვანილობის ქალებით, რომელნიც პაწია მოქარგული თავსაკრავით არიან შემკული, ბინადრობს მთიან, მაგრამ ნაცოფიერ მხარეში, რომლის ბუნება ჰკაცია მთის ნაპარაკებში, ხოლო რბილი და ნაზი მოვერტლულ ზეთის-ხილით მოფენილ ბარში... რუსეთს დამსახურებათ უნდა ჩაეთვალოს, რომ ცნობილი კავკავ-თფილისის გზის საშუალებით, რომელიც ორი ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე გადადის, ევროპა აზიას შეუერთდა.

მიუხედავად შემოერთების თუ დაპყრობის მრავალი ცდისა, ვერაინ შესძლო დაერღვია ამ ქვეყნის ღრმა შინაური მთლიანობა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს ეროვნულ ენაში, ცივილიზაციაში და სარწმუნოებაში. რამოდენიმე ხნის წინად თქვენ იპოვიდით ბიბლიოთეკებში საქართველოს ვეებერთელა ისტორიას, მე-19 საუკუნის ნახევარში გამოცემულს პეტერბურგში ფრანგულ ენაზე ცნობილ ბროსესს მიერ. ეს იყო ძლიერ გრძელი ისტორია, რომელიც 4 მსხვილ დიდი ფორმატის ტომს შეიცავს. მაგრამ, ამავე დროს ეს იყო საუც-

ხოვო და წარმტაც ლეგენდების კრებული. შარდენმაც*) გაიარა ამ ქვეყანაში, ამ ჩვენმა მე-12 საუკუნის საოცარმა მოგზაურმა თვალ-მარგალიტის მაძიებელმა, სპარსეთის მშვიდობიანმა დამპყრობმა, საწლარო ავანტიურისტმა, პიერლოტის წინამორბედმა შარდენმა. მე მახსოვს მისი მომხიბლავი სტილით მოთხრობილი წარმტაცი ამბები: გზის დაბნევისა, ცბიერი დედოფალის და ეპისკოპოსის, კაპუცინელი ბერის, მეფემ რომ ცოლის შერთვა მოუნდობა, და ისეთი წარმტაცი სილამაზის ქალების, რომ მათი ერთი შეხვედრა სიყვარულს მოგვრიდა. ჩვენ შარდენს ბევრ მათგანთათვის უცქერია...

მოკავშირეთა გამარჯვებამ, როგორც სასწაულმა, რომელსაც თავიდანვე მოელოდნენ, მიანიჭა კავკასიის ამ პატარა ერებს დამოუკიდებლობა. სამი წლის განმავლობაში შესძლეს მათ თავისუფლად ცხოვრება; მართალია, სათუთი და ნორჩი იყო ეს თავისუფლება, მაგრამ სამაგიეროდ რამდენათ ძვირფასი! შემდეგ საბჭოთა რუსეთი შემოესია საქართველოს; ის მას პყრობს დღეს და განზრახული აქვს მისი შემოერთება. შეუძლია ევროპას და განსაკუთრებით საფრანგეთს მოითმინოს ეს ბოროტმოქმედება? ჩვენ ვამბობთ: არა.

ამ დალატს წინააღმდეგობა უპირველესად ჩვენი აშკარა ინტერესი.

ერთი რომ, კავკასია შეადგენს ბუნებრივ ხიდს ევროპისა და აზიის შუა. ქვეყნის ცველა ერები დანტერესებული არიან, რომ ეს ხიდი თავისუფალი იყოს, რადგან ის გასავალი კარგებია იმ გზების, რომლებიც თურქესტანის, ინდოეთის და სპარსეთისაკენ მიემართებიან. სწორეთ არის ნათქვამი: «ვისაც კავკასია უჭირავს, მას უჭირავს ახლო აღმოსავლეთი». მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ არა მის დაჭერაზე ამა თუ იმ უცხო სახელმწიფოს სასარგებლოთ, არამედ მის თავისუფალ არსებობაზე. ორი მდინარის, რიონის და მტკვრის დაქანებული ხეობები, კავკასიის ცელის შუა ხაზი, ზღვიდან ზღვამდე, წარმოადგენს უპირველესი მნიშვნელობის გასავალ გზას.

ევროპის სხვაგვარი მატერიალური ინტერესიც მოითხოვს კავკასიის დამოუკიდებლობისა-

* მე-17 საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური.



საქართველო
საქართველო

თვის მხარის დაქვრას. საქართველომ იცნო რუსეთის ვალის ის წილი, რომელიც მის მცხოვრებთა რაოდენობას მოუწევს. ამავე დროს მას აქვს ტერიტორია და რკინის-გზა, რომლებიც წარმოადგენენ რუსეთის ვალის სათანადო ნაწილის გარანტიას. მის ხელშია ცნობილი ნავთ-სადენი. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ კავკასიის მრეწველობა ააშენა არა რუსების, არამედ უცხოეთის კაპიტალმა. და ყველაზე უფრო ადვილათ ჩვენ თავისუფალ კავკასიის გზით მივუდგებით თვით რუსეთს: ჩვენ მოვიპოვებთ იქ საიმედო მისასვლელ გზას და მკვიდრ ბაზას ჩვენი ეკონომიური საქმიანობისათვის სამხრეთ რუსეთში.

მაგრამ ზნეობრივი მოსაზრებები გაცილებით სუარბობს ინტერესის მოსაზრებებს.

იურიდიულათ და თვით მეფის რეჟიმის დროს საქართველოს არასოდეს აუღია ხელი დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე. ჩვენ დიპლომატებს უნდა ახსოვდეთ, რომ საქართველოს ანექსიით (შემოერთებით) 1801 წ. რუსეთმა ჩაიდინა ძალადობა, რომლის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს ინგლისმა და საფრანგეთმა. ამ წლამდე საქართველო აღიარებდა რუსეთის სიუზერენობას იმ თავიდანვე გატრუებული იმედით, რომ რუსეთი მას უკეთ დაიცავდა; ტრაქტატში ხომ უზრუნველყოფილი იყო მისი ავტონომია. და საქართველო არასოდეს შერიგებია მეფის ძალაობას. მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ის მოითხოვდა თავისი უფლებების აღდგენას. პარიზის კონგრესმა 1856 წ. არ მოისურვა ანექსიის რატიფიკაცია. ჰააგის კონფერენციაზე 1897 წ., რომელიც რუსეთის მეფის წინადადებით იქნა მოწვეული, საქართველომ კვლავ განაცხადა თავისი პროტესტი... ამნაირად, მისი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დაცვა, ჩვენი დროის დრამატულ პირობებში, ინგლისსა და საფრანგეთისათვის იქნება უკვე აღიარებული პოზიციის დაცვა, რომელზედაც მათ არასოდეს უთქვამთ უარი.—კიდევ მეტი.

მთელი ომის განმავლობაში საქ. დაცვა ერთგულემა ანტანტისადმი. მისი წინამძღოლები მთელი თავისი ძალ-ღონით ებრძოდნ რუსეთის ჯარის გახრწნას, იმ ჯარის რომელსაც საქართველომ საუკეთესო ნაწილები შესძინა. ბ. გეგუქორმა, ამიერ-კავკასიის დროებითი მთავ-

რობის თავმჯდომარემ, უარი განაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელის-მოწერაზე. ამის სამაგიეროთ მას და მის ხალხს ამ ბოლო დრომდე უზღეს საბედისწერო გარიცვა და ღვთის ანაბარად მიტოვება.

1918 წლის განაჯხულზე, ამიერ-კავკასიის სამი სახელმწიფო, მძიმე პირობებში, საერთო ძალით შეებრძოლა ოსმალეთს. ჩვენმა გამარჯვებამ მიანიჭა მათ დამოუკიდებლობა, ან, ცოველ შემთხვევაში, დამოუკიდებლობის იმედი. საქართველოს უნდა უზრუნველ ეცოთ თავისი ბედი რუსეთისაგან. ეს მოხდა 1920 წლისწამისში.

იმის საჩვენებლათ თუ რა სიფრთხილე გვჭირია ჩვენ როცა საბჭოთა რუსეთთან გვაქვს საქმე, განსაკუთრებით გენუის კონფერენციის წინ, მე მოვიცვან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებიდან რამოდენიმე მუხლს». აქ ავტორს მოჰკავს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლი, რომლის ძალითაც რუსეთი სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და ხელს იღებს მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

«1920 და 1921 წლებში, განაგრძობს დეპუტატი ჰერო, საბჭოთა მთავრობამ დაანტყიცა, რომ ის არადრით ჩამოუარდება გერმანიის მილიტარიზმს. უკანასკნელ დღემდე მოსკოვი არწმუნებს თფილისს, რომ მას არავითარი აგრესიული განზრახვა არ აქვს. შემდეგ ის ომის გამოუცხადებლათ თავს ესხმის მის საზღვრებს. შეტევა სწარმოებს ყველა შესაძლებელ გზებით. თფილისი, რომელიც სიმავრეს არ წარმოადგენს, ორი კვირის განმავლობაში იგერიებს მტერს. საქართველოს მთავრობა იძულებულია დაიხიოს ბათუმისაკენ, საცა მას ხვდება თურქები, რომლებიც შემოესიენ სამხრეთ პროვინციებს. ის არ ნებდება არც თურქებს, არც რუსებს და მიემგზავრება ევროპაში. საფრანგეთი აძლევს მას დღეს თავშესაფარს. ამრიგათ საქართველოს ისტორია ბელგიის ისტორიის განმეორებაა.

მისი დაპყრობის დღიდან, გაწამებული საქართველო იბრძვის მთელი თავისი ძალღონით; მას არ გააჩნია არც იარაღი, არც სამხედრო მოწყობილობა. ბოლშევიკებმა აკრძალეს ცოველგვარი არჩევნები; საცა კი ამის საშუალება ეძლევა, ეროვნული გრნობა მთელი სიძლიერით იჩენს თავს. მუშათა ორგანიზაციები ისევე ეწინააღმდეგებიან რუსებს, როგორც ბელგიე-

ლები ეწინააღმდეგებოდნენ გერმანელების ოკუპაციას. მრავალი ასი მოქალაქე გადაქვეს სამშობლოს საზღვრებიდან. ციხეები გავსებულია.

ამ სასიოცხვო საქმეს ბოლო უნდა მოედოს. უმაღლესი საბჭოსა, რუსეთისა და გერმანიის მიერ იურიდიულათ ცნობილი საქართველო უნდა დაშვებულ იქნას გენუაში. გაუგებარი და სასტიკათ დასაგმობი იქნებოდა დიდი ბრიტანეთის ოკონიკია ამის წინააღმდეგ. ე. წ. საქართველოს მთავრობა, რომელიც ეხლა იქ ბინადრობს, წამოყენებულია არა ქართველი ხალხის, არამედ რუსულ ბოლშევიკურ მთავრობის მიერ. ბ. მდივანი, ამ მთავრობის თავმჯდომარე, ამას წინათ მოსკოვს ჰყავდა თავის წარმომადგენლათ ანგორაში. ბ. ქავთარაძე, იმავე რევოლიუციურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ამ ერთი წლის წინად იყო საბჭოთა საელჩოს მრჩეველათ თფილისში. დიდმა სახელმწიფოებმა დაადასტურეს საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი მდგომარეობა მით, რომ 1921 წლის 27 იანვარს იურიდიულათ იცნეს მისი დამოუკიდებლობა.

ჩვენ ვებმარებთ ოსმალეთს და ვაფასებთ მას მის მიერ ჩვენს წინაშე ჩადენილი შეცდომების მიუხედავათ; მაგრამ ჩვენთვის მიუღებელი იქნება, რომ მან ზიანი მიაყენოს ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და მის სასიცოცხლო ძალას; ის ვალდებულია პატივისცემით მოეპყრას მის უფლებებს. ის უნდა დათანხმდეს მისსა და საქართველოს შორის სამართლიან საზღვრების დაწესებას, თუ გინდ არბიტრაჟის საშუალებით.

დასკვნა.—მშვიდობიან საქართველოზე თავდასხმა მას შემდეგ, რაც დადებულ იქნა მისსა და რუსეთს შორის წესიერი ხელშეკრულება, წარმოადგენს უსაზიზღრეს აქტს, რომელიც კი ისტორიას აღუნიშნავს ბელგიაზე თავდასხმის შესახებ. აქ რუსეთმა მიბაძა გერმანიის მოქმედებას ბელგიის მიმართ. ამ საზიზღრობის ჩადენით საბჭოთა მილიტარიზმმა თავისი თავი დააყენა პრუსიის მილიტარიზმის დონეზე. ამაზე უფრო უდავო იმპერიალისტური აქტი არ მომხდარა.

ყოვლად დაუშვებელია, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მას შეურიგდეს. მე მწამს, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მოსკოვის ვაქაბატონების მეგობრების გამოკლებით, ერთხმად დაგმობს ამ აქტს და თავის სიმპატიებს მიუძღვნის ტანჯულ ერს.

ანტანტამ რომ ეს ბოროტმოქმედება მოითმინოს—ეს იქნება მისი სილაჩრის მოწმობა.

ედუარდ ჰერიო.

კომუნისტები და კველი ჩველი ლიუციონერები*)

ყველა ქართველმა იცის, თუ როგორი თავისუფლება დაამყარეს საქართველოში კრემლის ნოქრებმა; იცის, რომ ჩეკის თვითმკრობლობამ ბევრათ გაუსწრო ნიკოლოზის თვითმკრობლობას ქართველ მუშებისა და გლეხების დევნა-აწიოკებაში, მათი ორგანიზაციების განადგურებაში. მაგრამ ყველაზე მძაფრათ წითელი იმპერიალისტების რეპრესიები ძველ რევოლიუციონერებს დაატყდა თავზე, ძველ რევოლიუციონერებს, რომლებიც «უკიდურესმა სოციალისტებმა» კონტრ-რევოლიუციონერებათ მონათლეს.

ძველ აქტიურ სოციალ-დემოკრატებს იჭერენ და ცრიან ნესტიან საკნებში მხოლდ იმიტომ, რომ იციან და ახსოვთ მათი თავგანწირული ბრძოლა მეფის თვითმკრობლობის წინააღმდეგ, რომ ისინი ვერ გატეხა ნიკოლოზის ციხეებმა, კატორღამ, ციმბირმა, რომ ისინი თვით ამ ციხე-ციმბირსა და კატორღაშიაც არ იდრეკდნენ გულს, აქაც აგრძელებდნენ დაწყებულ ბრძოლას მუშათა კლასის განსათავისუფლებლათ. წითელი იმპერიალისტები ფიქრობენ, რომ ეს დაუღდეგარი ხალხი არც ჩეკის თვითმკრობლობას დანდობს, მასაც ალბათ ასე ენერგიულათ შეებრძოლება და ძირს გამოუთხრისო; ფიქრობენ და ეს საკმარისია მათ შესაყრობათ და ჩეკის სარდაფებში ჩასამწყვდევათ. ეს კიდევ ცოტაა; ჩეკის თვითმკრობილებას ძველი რევოლიუციონერების არსებობა ამ სარდაფებიდანაც ძილს უფრთხობს და ამიტომ მათ არც აქ აკლებენ ყურადღებას, აქაც მათთვის განსაკუთრებული რეპრესიებია.

ძველი რევოლიუციონერების ოჯახები არ სარგებლობენ არც ნახვის, არც გადაცემის დროს იმ საერთო წესით, რაც სხვა ტრუსალებისთვისაა. მათთვის ყველაფერი განსაკუთრებულია. ძველ რევოლიუციონერებს უფლება არა აქვსთ ციხის ერთი ეზოდან მეორეში გადასვლის, ერთი მეორეს ნახვის ნაშინ, როცა ამით თავისუფლათ სარგებლობს მექრთამოებზე დაქერილი კომუნისტი, ყაჩალი და ჯიბგირიც.

*) ამ წერილის ავტორი თფილისის მეტეხის ციხეში და ჩეკის სარდაფში იჯდა რამდენიმე თვეს და პირადათ გამოცადა ბოლშევიკების რეპრესიები.

რედ.



ყველაზე საშინელება ძველი რევოლიუციონერებისათვის ავთომტოფობია არის. ციხეში არავითარი ექიმობა და მოვლა არაა და როცა ტუსალი სერიოზულად ავთომტოფობება, მის გადასარჩენად ერთ-ერთი საშუალებაა კერძო, ან ქალაქის საავთომტოფოში გადაყვანა, რასაც ადგილად ახერხებენ სისხლის სამართლის ტუსადები, ხოლო ძველ რევოლიუციონერებს ამას არ აღირსებენ. ძველ რევოლიუციონერ ქიჭინაძის, სამხედრო მინისტრის შესახებ ასეთ ნებირთვანზე მხოლოდ მაშინ მოეწერეს ხელი, როცა ის ფაქტიურად უკვე მკვდარი იყო. ასევე მოექცენ გიორგი გომარელს.

გიორგი ზემო-ქართლელი გლეხია, ს. ქვენატოკოცადან. მან ჯერ კიდევ 1902-3 წლებში შეითვისა ს.-დემოკრატიული მოძღვრობა ჭიათურის პალაროებში, სადაც ის ზამთრობით დადიოდა ხოლმე, რომ მცირე მიწის მცირე შემოსავალი ქირაზე მუშაობით შეეგოს. აქედან მას თავის სოფელში გადააქვს საცვარელი იდეა და 1905 წ. ის ხდება გლეხთა მოძრაობის ერთი მეთაურთაგანი. რეაქციის გამარჯვების შემდეგ გიორგი ხელში ჩაიგდო მეფის ჯალათებმა და ციხე-ციმბირით დააჯილდოვა. ცოცხალიც აღარავის ეგონა ეს ჯან-ლონით სავსე ახალგაზდა, როცა თებერლის რევოლიუციას თან მოყვა უკვე გაქაღრებული ფიზიკურად დაუძლურებული, ტუბერკულიოზით შეპყობილი, მაგრამ ისევ ისე მომღიმარი და მხნე სულით. მადლიერმა სოფელმა ის თემის თავმჯომარეთ აირჩია. შორს სირბილი აღარ შეგიძლია, დაჯექი და გვიხელმძღვანელო, უთხრეს მას.

კომუნისტურმა თვითმყრობელობამ გიორგის ჩეკის სარდაფში უკრა თავი, შემდეგ მეტეხში. აქ ის მხნეთ იყო შემოდგომამდის, მაგრამ ჰავის ცვლილებასთან ერთად მისი ჯანმრთელობაც შეიცვალა, ლოგინზე დაეცა. ორ თვეზე მეტი იწვა ის ცივ და ნესტიან საკანში ხმელ ლოგინზე და ებრძოდა სიკვდილს. ექიმმა თავიდანვე გააცხადა, რომ მისი აქ მორჩენა შეუძლებელიაო. მაგრამ ჩეკამ მანამ არ გიუშვა, სანამ ავთომტოფი ხელის გასატანათ არ შეიქნა.

აი, მაგალითად, იმავე საკანში ილია მანისურაძე, მისი ხროტინი ზედა სართულშიაც ეყურებათ მის ამხანაგებს. ილიაც ზემო-ქართლელი გლეხია. ისიც გიორგის დროინდელი სოც.-დემოკრატია. 1905 წლის შემდეგ ილიას

ხვედრიც ციხე-ციმბირი იყო, სადაც მკვდარად აგრძელდება დაწებულ საქმეს. თებერლის რევოლიუციის შემდეგ ისიც თავის სოფლის თემის სულის ჩამდგმელი იყო. ეხლა აქ წევს და სიკვდილს ებრძვის, მაგრამ ჯერ არ გაუშვებს. ხშირათ მოდის ხოლმე შულმანი, სიკვდილის კომენდანტათ წოდებული, ახდის საბანს და ეტყვის: ეშჩო ბოლენ? ალბათ უნდა დარწმუნდეს და გაატანიოს მაშინ, როცა მას ორიოდე დღის მეტი სიცოცხლე აღარ დარჩენია...

აგერ, მეორე საკანში კალისტრატე გოგუაშინ არ იცნობს მას, როგორც გულწრფელ რევოლიუციონერს, დრმათ მომზადებულს ს.-დემოკრატს. ის ჯერ კიდევ 1902 წელს გამგზავრეს ციმბირში. თებერლის რევოლიუციამაც რუსეთში მოასწრო, სადაც მგონი მეოთხეთ იყო გადასახლებული. განა კალინინმა, ენუქიძემ (პირადათ ცოფილი მეგობრები კ. გაგუასი) და ცველა კრემლში მჯდომმა არ იციან, რომ კლიჩკა კონტრ-რევოლიუციონერი, რაც მას და მის ამხანაგებს მიაკრეს, უსინდისობაზე უსინდისობაზე თვეზე მეტია ის ლოგინზე წევს და დაუხმარებლათ ვერც გადაბრუნდება... ექიმებმა იციან, რომ მის ფეხზე დასაყენებლათ საჭიროა ელექტრონით ექიმობა და ვანები, რაც აქ არაა და ქალაქის საავთომტოფოში კი ჩეკა არ უშვებს იმ იმედით, რომ იქნება ჩაკვდეს საკანშიო...

ასეთსავე მდგომარეობაშია ტრამვას მუშა, ძველი სოც.-დემოკრატი თურმანიძე. ექიმები არც მას თვლიან დიდხინის სტუმრათ ამ სოფლათ, მაგრამ ქალაქის საავთომტოფოში და მერე თავისუფალ ჰაერზე იქნებ გაგრძელდებოდა მისი სიცოცხლე რამდენიმე ხნით.

კიდევ უარესი მოუვიდა მეორე ტრამვას მუშას ბარბაქაძეს, რომელსაც მოსვლისაგან უმაღლ საქადაი შეხვდა, მაგრამ არაფრის გულისთვის არ გაუშვებს თუნდაც ცარაულ ქვეშ ქალაქის საავთომტოფოში. ის გაგზავნეს ორთაქალის ციხის საავთომტოფოში, რასაც ტუსადები სამართლიანათ სასაკლაოს ეძახიან და სადაც ის ორიოდე დღის შემდეგ დამარხეს.

ასეთვე დამართა სეთ რაზმაძეს. მუშა სეთ რაზმაძე 1908 წელში მეტეხის ციხიდან როსტოვში გადაასახლეს. იქ მან ადგილი იშონა და თვით განვითარებას დაეწაო. რამდენიმე წლის განმავლობაში ისე მოემზადა, რომ პეტროგრადში ფსიქო-ნერვოლოგიურ ინსტიტუტ-

ში შევიდა სწავლის გასაგრძელებლათ, მაგრამ სიღარიბის გამო ბოლომდე ვერ მიიღვანა. თავისუფლების დროს უკანვე დაბრუნდა და მუშაობაში ჩაება. ჯერ კიდევ ახალგაზდა, ჯანდანიოთ სავსე, ის აწი ფიქრობდა ცხოვრების დაწყებას, მაგრამ ჩეკამ სხვაფერ განსაჯა: სეთი დაატუსაღა და მეტეხის ციხეში მოათავსა, სადაც ჩქარა სახადს გადაეყარა. ამოთ ემუდარენ ჩეკას მისი ნათესაევი. ქალაქის საავთმყოფოს მაგიერ ის ორთაქალაში გაგზავნეს, სადაც 27 იანვარს გადაიცვალა, ხოლო 28 იანვარს შულმანმა მეტეხში მოიტანა მისი გასათავისუფლებელი ორდერი: უკრა ცინიკური დაცინვა შეუძლებელია...

და რამდენი ჩამოვთვალათ. გრ. ლორთქიფანიძე, ლ. ჯიბლაძე, ზ. გურლი, და სხვები რამდენჯერმე შეამოქმეს ექიმებმა ზაფხულის განმავლობაში და ცოველთინ აუცილებლათ ცნობდენ მათთვის აქიმობას, მაგრამ ისინი დღესაც საკნებში არიან; ძველი მუშა-რევოლიუციონერები—ალ. დგებუაძე, ან. კიბარიაშვილი, გ. სადაგაშვილი, ვ. ბილანაშვილი, ს. დოლიძე, ვას. სხირტლაძე, დ. საღირაშვილი, ნ. გოგინაშვილი, ს. ბაბლიძე, კ. მაჭარაძე და ბევრი სხვა, რომელთაც არა ერთხელ შემოუვლიათ ციხე-ციმბირი და რომელთა შორის ბევრი ფიზიკურათ უკვე დაუძღურებული სხედან იქ ცივ და ნესტიან საკნებში სრულიათ უსაფუძვლოთ. ჩეკა უტდის თუ როდის შეეკრებიან ისინი ხალღრას, სახადს ან სხვა რამ სენს, რომ უწამლობით და მოუვლევლობით ბოლო მოეღოს სურადფებში, მაგრამ ესენი განგებ, თითქო ჩეკას ჯინაზე, სულაც არ ფიქრობენ სიკვდილზე, რეპრესიები გულს ვერ უტეხავსთ და ჯიუტათ გაიძახიან: არ მოგვედებით, ვიცოცხლებოთ და მოვესწრებით ბოლშევიკ-იმპერიალისტების საბოლოო გახრწნას...

მაგრამ ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია ძველი ვეტერანის, ნწ წლის მოხუცის ის. რამიშვილის ტუსალობა. რამდენიმე ათეული წელი ებროდა ის მეფის თვითმცრობელობას და ამ ხნის განმავლობაში თითონაც აღარ ახსოვს რამდენჯერ იყო დაჭერილი, რამდენი წელი გაატარა საერთოთ ციხეში, რამდენი გადასახლებაში. დაიჭირეს ახლა იმიტომ, რომ ჩეკის თვითმცრობელობას ქებათა ქება არ შეასხა, ხალხის დამონება და ძარცვა-სოციალიზმით არ

აღიარა. მთელი ზაფხულის სიცხეში გაატარა აქ თორენსავით გახურებულ საკანში; ახლა ამ ცინვაში ზის ის გუთბობელ ნესტიან საკანში. პალტოსა და შალში გახვეული და იფშენეტავს გამქეპნარ ხელებს, იფშენეტავს და იცინის, იცინის და ახალგაზდებს ამხნეებს...

ჩეკა კი კიდევ მეტ რეპრესიებზე ფიქრობს, ტყუილა ხომ არ გაათავისუფლეს ის ქურდების, ყაჩაღებისა და სპეკულიანტებისაგან და ტყუილათ ხომ არ დაუსაკუთრეს მისი ენერგია მარტო სოციალისტებს. ახლა მას მეტი დრო და ძალა აქვს ჩვენ სადევნელათ და ისიც შეუდგა. ციხის უფროსი გვათუა, ეს კომუნისტების ფინია, გადააქნეს და მის მაგიერ შულმანი დანიშნეს, ის უკვე იბარებს ციხეს...

მეფის თვითმცრობელობის პრაქტიკაშიაც იყო ხოლმე შემთხვევები, როცა დამსახურებულ ჯალათებს ციხის უფროსებათ ნიშნავდენ. ჩეკის თვითმცრობელობა ხომ ყველაფერში მისი მემკვიდრეა...

გაუთეხელი.

სრულიად საქართველოს განათლებისა და სოც. კულტურის მუშაკთა კავშირის ყრილობა.

30 იანვარს გაიხსნა სრულიად საქართველოს განათლებისა და სოც. კულტურის მუშაკთა კავშირის ყრილობა.

ყრილობაზე გამოჩნდა, რომ დღევანტათა უმრავლესობა არა კომუნისტური იყო. არჩეული იქმნა პრეზიდიუმი, არა კომუნისტებისგან.

ყრილობამ დეხზე ადგომით პატივი სცა ტრალიკულად დაღუპულ თედო რაზიკაშვილის ხსოვნას.

კომუნისტები ძლიერ დააფიქრა ყრილობის ასეთ განწყობილებამ და მოითხოვეს განათ. და სოც. კულტურის კავშირისა და ხელოვანთა კავშირის შეერთება, ვინაიდან უკანასკნელში მოკალათებული არიან ქართველი ზალხისთვის უცხო ელემენტები—რუსობა და სომხობა.

კომუნისტები შეეცადენ მოეხდინათ ყრილობაზე გავლენა, მაგრამ კრებამ ხმის უმეტესობით უარყო მათი წინადადება. მაშინ კომუნისტებმა ეს საკითხი პროფ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში გადაიტანეს განსახილველად. სხდომა გადაიდო საღამოს 4 საათისათვის.



სალამოს 4 საათზე ქანდარა გაიგსო გარეშე ხალხით—სტუმრებით. ცრილობა განახლდა.

პროფ. კავშირების წარმომადგენელი შურულაშვილი კრებას მოახსენებს პროფ. კავშირთა საბჭოს გადაწყვეტილებას დასახელებულ ორი კავშირის შეერთების შესახებ. არა კომუნისტები საბჭოს ასეთი დადგენილებისათვის სასტიკ პროტესტს აცხადებენ და აღნიშნავენ, რომ საბჭოს ასეთი გადაწყვეტილება არის სხვისი სურვილების თავზე მოხვევა და ძალადობა.

ქართველ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი კ. გამსახურდია აცხადებს, რომ ქართველი მწერლები არ მიიღებენ ხელოვანთა კავშირში და ამ ნაირად იქ მოიკალათეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა.

კრება გადაიდო მეორე დღის დილის 9 საათისათვის.

მეორე დღეს, დილის 9-საათზე დღევგატები შეიკრიბნენ, მაგრამ კომუნისტებმა განაცხადეს, რომ მათ პარტიული ცრილობა აქვთ, კომუნისტებს არ სცალიათ და ცრილობის სხდომა ხვალისათვის გადაიდვასო.

პირველ თებერვალს ერთად შეიკრიბნენ განათლებისა და ხელოვნების კავშირთა დღევგატები. შეერთებული ცრილობის სხდომა გახსნა ყურულაშვილმა საბჭოს სახელით და აარჩევია ხელმეორედ პრეზიდიუმი კომუნისტებისაგან. პრეზიდიუმი იჭერს თავის ადგილს და ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს. ცველანი თებზე დგებიან, გარდა კ. გამსახურდიასი. გამსახურდიას ასეთი მოქმედება დიდ აურ-წაურს იწვევს, ის ძალათ ააყენეს. თავდება ინტერნაციონალი და გაისმის «დიდება». კომუნისტები ხმაურობენ, მაგრამ «დიდების» სიმღერა არ სწყდება. მაშინ კომუნისტი ყურულაშვილი, რომ აურ-წაურით დაეფარა სიმღერის ხმა, მოუწოდებს ხელმეორედ დაუკრან ინტერნაციონალი. ყვირილში და მუსიკის ხმაში თავდება «დიდება». კომუნისტები მოითხოვენ გამსახურდიას კრებიდან გაძევებას. გამსახურდია ითხოვს სიტყვას განცხადებისათვის, მაგრამ მას სიტყვის ნებას არ აძლევენ და იძულებულს ხდიან დასტოვოს დარბაზი. ამის შემდეგ წესრიგისათვის სიტყვას ითხოვს სოც.-დემ. გრ. გიორგაძე. ის ამბობს, რომ თუ გამსახურდია პატივს არ სცემს ინტერნაციონალს, ის იმაში დამნაშავეა და ჩვენ არას ვამბობთ მის გაძევებაზე.

მაზე, მაგრამ ჩვენ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ჩვენ ვმღეროდით «დიდებას» კომუნისტებმა ატეხეს ხმაურობა და არ სცეს პატივი ქართულ ჰიმნს. ჩვენ ინტერნაციონალისათვის ვიბრძვით, მაგრამ ის არ უნდა გადაიქცეს წერილ ერთა ჩაგვრის იარაღათ. გიორგაძის განცხადება საშინელ ალიაქოტს იწვევს კომუნისტებში და ითხოვენ მის კრებიდან გაძევებას. ის არ გადის, ატდება ხმაურობა. როცა კრება მშვიდდება თავმჯდომარე ქაცარავა კენჭს უკრის გიორგაძის კრებიდან გაძევების წინადადებას. წინადადებას ხმას აძლევენ მარტო კომუნისტები. არა კომუნისტები ითხოვენ გაცხადების გაკეთების ნებას, მაგრამ კომუნისტები ამის ნებას არ რთავენ და ხელს უშლიან. არა კომუნისტებს შეაქვთ პრეზიდიუმში წერილობითი დეკლარაცია, რის შემდეგ დემონსტრაციულად სტოვებენ კრებას.

ამის შემდეგ განათლების კომისარი აცხადებს, რომ მიღებული იქნება ზომები ასეთი კონტრრევოლიუციონურ ელემენტების წინააღმდეგ და მასწავლებლები სურსათ-სანოვანის, ჯამაგირის თუ სხვათა მიღების დროს უკანასკნელ რიგში იქნებიან ჩარიცხულიო.

«კონტრრევოლიუციონურ» მასწავლებელთა წინააღმდეგ ზომებს უკვე იმუშაებენ. არა კომუნისტ მასწავლებლებს, შტატების შემცირების სახით ითხოვენ ადგილებიდან. ამათში უმრავლესობა ძველი, გამოცდილი და განათლებულნი არიან.

ასე უმასპინძლებიან კომუნისტთა სამეფოში ცველას, ვინც მათი შეხედულობის წინააღმდეგ ხმის ამოდებას გაბედავს.

ბუღუ მდივანის „მოკსაურობა“ გურიაში.

15-თებერვალს გაზეთ «კომუნისტის» (№36) მოთავსებულია ცნობა ბუღუ მდივანის მოგზაურობის შესახებ გურიაში, სადაც სწერია: «მრავალ ადგილას მიტინგებით დახვდენ, მხოლოდ ბუღუ მდივანმა ვერ დაიცადა გურიის შამოსავლელოთ, რადგანაც საჩქაროთ გამოიწვიეს თფილისში გენუის კონფერენციაზე წასასვლელოთ». აი ასეთი ინფორმაციით კვებავენ ხალხს კომუნისტები.

F1294K
1922
საქართველოს
განმანათლებლო
მინისტროს
სამეცნიერო
ბიბლიოთეკა

როგორ «იმოგზავრა» ბუღუმ?

აი როგორ მოხდა:

ბუღუ მდივანი ლანჩხუთში მივიდა 5 თებერვალს. ლანჩხუთში მას დაახვედრეს ყრილობა, არა იმიტომ, რომ მდივანი მიდიოდა, არამედ ადგილობრივმა რევკომმა ნატურალურ გადასახადის გამო შეუყარა ხალხს თავი და ბოლოს გამოუტყადა მდივანი აქ ბრძანდებო.

მდივანმა წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა: «მენშევიკების საქმიანობამ ბევრი ზარალი მიგვყენა ვეროპაში. გაქურდეს რა საქართველო, გაიტაცეს მთელი სინდიდრე რითაც მოიციდეს ვეროპის იმპერიალისტები, რომელნიც დღეს მოითხოვენ ჩვენგან რუსის ჯარების გაცვანას.

ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ისევ დაიღვაროს მუშების და გლეხების სისხლი... თქვენ ხალხო, ჩვენთან ერთად უნდა მოითხოვოთ, რომ აქ დარჩეს რუსის ჯარი, ვინაიდან ამას მოითხოვს თქვენი ინტერესები, თორემ თუ ჩვენ გვაიძულებს, მაშინ იცოდეთ აქ უბედურება დაატრიალდება, სისხლის ნიაღვარი ადგება».

ბუღუს სიტყვაც არ ქონდა დასრულებული, რომ ხალხმა ერთბაშათ იბრუნა პირი და მიიტრიალა ყრილობა.

ასე დასრულდა ბ. მდივნის გამოსვლა ლანჩხუთში.

ლანჩხუთიდან გაემგზავრა სუფსაში. მისდა სამწუხაროთ, რევკომის მეთაურს იქაც არავინ შეხვდა. ნატანებშიაც ასეთივე ბედი ეწია მას.

ოზურგეთში გარდა «ჩეკა» რუსის ჯარისა, მდივანს არავინ დახვედრია, რისთვისაც იგი სასტიკათ დაემუქრა ადგილობრივ რევკომს, რომელმაც აღუთქვა პარასკევისათვის დიდი მიტინგის მოწვევა. გურიის რევკომმა პარასკევი იმიტომ აირჩია, რომ საშვალება მისცემოდათ ესარგებლებით ბაზრობით.

ოზურგეთიდან ბუღუ ნაგომარში გაემგზავრა. ნაგომარში მას შეხვდა ათი მილიციონერი, რევკომი, რომელსაც სასტიკი «ვიგოვორი» გამოუტყადა და თან უსაცვდელთა: თქვენ სიაში 22-მდე კაცი გყავთ და აქ კი არც ერთი არ არისო.

რევკომმა გამართა დილით პარასკეობის იმედით დიდი მიტინგი.

აქიდან ბუღუ მდივანი გაემგზავრა ჩოხატაურში, სადაც «ჩეკის» ჯარის, რევკომის და კომპარტიის მეტი არავინ დახვედრია.

ბუღუ დაბრუნდა უკან დაღონებული. ნაგომარში მისი მისვლის გამო პარასკეობაც დაშლილიყო და აღარავინ დახვედრია, რის გამო ადგილობრივ რევკომს დაემუქრა დატყვევებით. აქედან ის საჩქაროთ გაემართა ოზურგეთის მიტინგზე, მაგრამ იქაც არავინ დახვდა, გარდა დაღონებული რევკომისა.

ბუღუმ ბახვი-ლიხაური მიატოვა და სწრაფათ უკან დაბრუნდა.

ასე იმოგზავრა გურიაში ბუღუ მდივანმა.

აი რატომ დაბრუნდა «საჩქაროთ» თბილისში და არა იმიტომ რასაც «კომუნისტი» ჩმახავს.

წყვილი ქუთაისიდან.

1921 წ. დეკემბრის 30-ს ციკში შესდგა ქუთაისის მომხ. საზ. მუშათა «კოპერაციის» წევრთა წლიური საზოგადო კრება. კრების პრეზიდიუმში სოციალ-დემოკრატები აირჩიეს. როცა კრებამ ამოსწურა დღიური საკითხი და შეუდგა გაზგეობის არჩევნებს, კომუნისტების წარმომადგენელმა გახოკიამ მოითხოვა გამგეობაში მთავრობის წარმომადგენელი უსათუოთ უნდა იღოსო. მუშა ვ. სხირტლაძემ განაცხადა, რომ მუშათა კოპერაცია ქუთაისის მუშების ღვიძლი შვილია და იმას აირჩევს გამგეობაში, ვინც მას უნდა. ამის შემდეგ გახოკიამ მუქარით მიმართა კრებას, გინდოთ თუ არა ბოლშევიკი უნდა აირჩიოთ გამგეობაშიო. სხირტლაძემ უპასუხა, რომ შერცხვეს ის რევოლიუციონერი, რომელმაც თქვენს უზეშ მუქარის წინაშე ქელი მოიხაროსო. სხირტლაძეს სიტყვა არ ქონდა დათავებული, როდესაც გახოკიამ სიგნალი მისცა თავის «ჩეკისტებს», რომელნიც გადმოვიდნენ რევოლუციებით, შემოესიენ როგურც სხირტლაძეს, ისე მის ახლო მდგომ ანხანაგებს, მაგრამ ვერას გახდენ. გახოკიამ პრეზიდიუმს ცალმხრივობა დასწამა და დაემუქრა დატუსაღებით. კრებაზე ატედა ხმაურობა. ამის შემდეგ მთავრობის ძალ დატანების ქვეშ გამგეობაში სამი კაცის ნაცვლათ ხუთი იქმნა არჩეული, ამათში ერთი კომუნისტი. რამოდენიმე დღის შემდეგ, ბრლშევიკებმა აამუშავეს «ჩეკა» და ქუთაისის ციხე აავსეს მოწინავე მუშებით და ინტელიგენციით. აქედენ მკითხველი აშკარათ დაინახავს, თუ როგორის პატივის ცემით ეპყრობიან კომუნისტები მუშების ნება-სურვილს.

მუშა.